# სახალხო გაზეთი

№ 533 პარასკევი, 24 თებერვალი 1912 წ. № 533

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ტელეფონი № 12-29.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კ. დამატებიანი 7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



ამით ვაცხადებთ, რომ

**„სახალხო გაზეთს"**

ხელის მომწერთა შემკრები აგენტები არსად არა ჰყავს გარდა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების **ტფილისის წიგნის** მაღაზიისა და ამიტომ ვინც **პირდაპირ „სახალხო გაზეთის" კანტორიდან არ იწერს გაზეთს—პასუხსაც არ ვაგებთ.** ყველა წიგნის მაღაზიას შეუძლიან მიიღოს ჩვენ გაზეთზე ხელის მოწერა მხოლოდ თავისი პასუხის მგებლობით და ამიტომ ხელის მომწერლებმა პასუხისმგებლობაც მათ უნდა მოსთხოვონ.

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

**სურათებიანი დამატება!**

მიიღება ხელის-მოწერა

**წლიური ხელის-მომწერნი** (8 მ. 50 კ.) **მიიღებენ სალიტერატურო კრებულს გრდემლს.**

1 თებერვლიდან წლის ბოლომდე ღირს 8 მან.

**ერთი თვით 75 კაპ.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან,** მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

**ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა** ამით აცხადებს, რომ 25 თებერვალს, ნაშუადღევის 2 საათზე, ბანკის დარბაზში (ფრეილინის ქუჩა, ქართველ თავად-აზნაურობის სახლში) დანიშნულია **პანაშვიდი** ბანკის საქმის მწარმოებლად ნამყოფ განსვენებულ

ალექსანდრე სტეფანეს ძე გვერგველაძის

სულის მოსახსენებლად. (1.1127.1)

**ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოება**

აცხადებს, რომ სალიტერატურო კრებულ „გრდემლის" მეორე წიგნისთვის

**მასალები მიიღება მარტის ბოლომდე.**

კრებულის გამოცემა განზრახულია სამაისოდ.

მისამართი: ოლგის ქუჩის შესახვ. № 5 გ. რცხილაძეს, (10,1124.2)

**ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოება**

შეუდგა **ბესარიონ გაბაშვილის ბესიკის თხზულებათა** გამოცემას. წიგნი სივრცით 200 გვერდამდე იქნება და გამოვა ნაადდგომევს. წინასწარის ხელის-მოწერით წიგნი ღირს 40 კაპ. ხელის-მოწერა მიიღება მხოლოდ წიგნის გამოსვლამდე 1) წერა-კითხვის საზოგადოების ტფილისის წიგნის მაღაზიებში და 2) „სახალხო გაზეთის" რედაქციაში. წიგნის გამოსვლის შემდეგ ფასი მომატებული იქნება. (20—1125—2)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულ. | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. |
| | **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. |
| | **შალალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. |
| | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. |
| | **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| საქირურგო (ქირურგიული) | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| სამშობიარო ქალ. სნეულ. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. |
| | **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ბავშვების ავადმყ. | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. |
| | **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. |
| | **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ყურ. ყელ. ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3. |
| თვალ. სნ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½. |
| კან. სნ. | **მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann-რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" **წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—27)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

გამოვიდა და იყიდება ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების **წიგნის მაღაზიაში** ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების **სალიტერატურო კრებული გრდემლი** ფასი 1 მ. 50 კ. (თ.1098.14)

**ახალი კლუბი**

**პარასკევს, 24 თებერვალს,**

**სინემატოგრაფი** ს. ო. ივანიცკაიასი.

ნაჩვენები იქმნება ბრძოლის სურათი 200 მეტრიანი, სამ ნაწილად.

**შურს ვიძიებ ქალის პატიოსნებისათვის**

და სხვ. მრავალი სურათები. სინემატოგრაფის შემდეგ **ი ა ფ ი ლ ო ტ ო.** რადგანაც პროგრამა სურათებისა ერთობ ვრცელია, ამიტომ **დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.** (1—1119—1)

**ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი**

სთხოვს **ბორჩალოს მაზრის** თავად-აზნაურთ მობრძანდნენ **27 ამ თებერვალს შუადღის 12 საათზე სოფელ შულავერში** ჩვეულებრივ სამაზრო კრებაზე. იმ თავად-აზნაურთ, რომელთაც საარჩევნო და სათავად-აზნაურო საქმეებში მონაწილეობის უფლება აქვთ, კეთილ ინებონ და ამისი დამადასტურებელი საბუთები წარმოადგინონ. (2 1126—1)

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ჭლექისა** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10 ტელეფ. 792. (თ. 100—1534—97)

**საბურთალოზე**

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მიმავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 242)

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**. ბა. ბოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა „606"**

(წლ. 1090 279)

**დოქტორი მედიცინისა ი. ე. თიკანაძე**

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 111)

**გამოცდილმა მასწავლებელმა**

**ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა** მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საზებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

**აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე, ყველა კლასის ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

**იღებს პირობებით.** მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო-8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(თ. 1084.95)

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხ. გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოროლანოვის ქ., № 20. (წ. 1249 831.

**ექიმი** დ. ხურამში **აპოლონ ლუკას ძე ტუმალაძე** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღეს. (თ.—125—8)

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—249—5)

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., №

**ექიმი ე. ი. მინასიანცი** შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე, ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—103).

**ექიმი პ. არდაზიანი** შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.899.52).

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი** მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.


# სახელმწიფო სათათბირო

## დეპეშები.

**თ-დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობდა.**

განაგრძეს ხოლმშჩინის გამომყოფელ კანონპროექტის მეორედ განხილვა. მოიწონეს **მომხსენებლის ჩიხაჩევის** წინადადება; ხოლმსის გუბერნიაში სასწავლებელთა, სწავლის წესებისა და სასწავლო ენის შესახები მუხლები ერთად განიხილოთ. ჩიხაჩევის წინადადების წინააღმდეგნი იყვნენ **პარჩევსკი** და **დიმშა,** რომელნიც მოითხოვენ, კერძო სკოლათა თაობაზე ცალკე ვიმსჯელოთო.

**გულკინი** წინააღმდეგია პირველი მუხლისა. მუხლი მოითხოვს ხოლმსის გუბერნიაში სახალხო სკოლებში ყველა საგნების რუსულად სწავლებას და ეს კი ძალით გარუსებააო.

**შეჩკოვს** შეუძლებლად მიაჩნია, რომ სწავლება ადგილობრივ ენაზე სწარმოებდეს. მაგრამ დასძენს, კერძო სკოლებს მივცეთ ამის ნება და სასტიკი კონტროლი დავაწესოთო. მთლად რომ ავკრძალოთ პოლონურად სწავლება, საიდუმლო სკოლები გაჩნდება და ეს კი უარესია, თვალყურს ველარ ვადევნებთ. მხოლოდ საჭიროა, რომ კერძო სკოლებში კურს დამთავრებულთ სახელმწიფო სამსახურში შესვლის უფლება არ უნდა მიენიჭოთო.

**პარჩევსკი.** სამშობლო ენის საშუალებით განათლების მიღება უძვირფასესი უფლებაა ადამიანისა კომისიის დადგენილება კი ამ უფლებას არღვევს. კომისიის აზრი არამც თუ 17 ოქტომბრის მანიფესტს ეწინააღმდეგება, 1904 წლის დეკემბერში გამოცემულ ბრძანებასაც არ ეთანხმებაო.

**კოვალევსკიმ** შეიტანა ოქტომბრისტების სახელით შესათანხმებელი წინადადება. წინადადების ძალით ხოლმსის გუბერნიის სახელმწიფო სასწავლებლებში იმ კანონებით უნდა იმოქმედონ, რაც ამ უკანასკნელ დროებში გამოიცა. წინადადების ავტორნი ამბობენ, ხოლმსის გუბერნიაში რუსთა გავლენა უნდა გააძლიეროს კულტურის გზით განათლების სამინისტრომ და სინოდმა. ამისათვის საჭიროა პირველ დაწყებით სკოლების ბლომად დაარსებაო.

**სვენციცკი.** შეუძლებელია საქართლიანობის ძალმომრეობით დამყარება და ამ გზით ერთა შუა მძულვარების გამწვავებაო.

**განათლების მინისტრი თანაშემწე ბარონი ტაუბე.** არავითარ დაბრკოლებას არა ვხედავ, რომ ხოლმშჩინის სამოსწავლო საქმეები კიევის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს დაუქვემდებაროთ. პოლონელებსა და ლიტველებს ტყუილად ეფიქრებათ დედა-ენის გამო. ეხლახან სახელმწიფო საბჭომ განიხილა კანონპროექტი პირველ-დაწყებით სკოლებში ადგილობრივ ენათა სწავლებისა და ნათლად აღნიშნა ყველაფერი. ბოლოს მინისტრის თანაშემწემ განხილულ მუხლთა მიღება მოითხოვა.

**დიმშა** გაკვირვებული აღნიშნავს, როგორ არ იცის მინისტრის თანაშემწემ, რომ პირველდაწყებით სკოლებს ძალიან სათუთი მოვლა უნდა, განა ამას შესძლებს კიევის სამზრუნველო?! პროექტში ჩამოთვლილი მუხლები ხოლმსის გუბერნიაში ყოველგვარ განათლების ნიშან-წყალს მოსპობსო.

**ეპისკოპოსი ევლოგი.** პოლონეთის სამეფოში რუსული სკოლა ერთად-ერთი იარაღია კულტურისა და სახელმწიფოებრიობისა. ამიტომ ხოლმშჩინაში რუსულ სკოლას სახე არ უნდა ეცვალოს.

**მასლენიკოვმა** და **უვაროვმა** მოითხოვეს იმ მუხლის გამოტოვება, რომლის ძალითაც ხოლმსის გუბერნიის სასწავლებელნი კიევის ოლქის მზრუნველს უქვემდებარდება.

**როდიჩევი.** რუსეთის მოქალაქე არ მოისურვებს, რომ თავისი განათლება სხვა ერის უვიცობაზე ააშენოს. რუსულ განათლებას სრულიად არ უნდა ჰსურდეს სხვა განათლების მოსპობა. თუ გსურთ, რომ საკუთარი განათლება გქონდეთ იბრძოლეთ ადამიანის აზრის განსათავისუფლებლად, იბრძოლეთ სწავლების თავისუფლებისათვის. პროქტს ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ იგი მაჩვენებელია თქვენი და სლავიანების უფლებათა ურთიერთობისა. ამ მხრივ პროექტს დიდი ზნეობრივი მნიშვნელობა ეძლევა.

**სლავიანინი** წინააღმდეგია პროექტისა, რადგანაც იმ კანონს ვერ მოვიწონებ, რომელიც განათლებისადმი ზიზღს შეიცავსო.

**ზავიშა.** შეუძლებელი ბავშვებს საშუალება მოუსპოთ დედაენის საშუალებით სწავლის მიღებისა. ამას ბუნების ლოღიკა მოითხოვს.

**ბობიანსკი.** სამშობლო ენის, ამ წმიდათა წმიდის შემავიწროებელ კანონის მიღება შეუძლებელიაო.

**მ. მაცეევიჩის** აზრით პოლონელებს ვერაფერი დაუშლის სამშობლო ენის შესწავლასა. რაც უნდა შეგვავიწროოთ, სამშობლო ენის შესწავლაზე ხელს ვერ აგვაღებინებთ, როგორც ვერ მიგვატოვებინებთ სარწმუნოება. თუ დაგვიშლით, უკანასკნელ ქონებას საიდუმლოდ სწავლებაზე გადავაგებთო.

**მომხსენებელი ჩიხაჩევი** მომხრეა კოვალევსკის წინადადებისა.

158 ხმით 128 წინააღმდეგ სათათბირომ მიიღო მუხლები, რომელიც ხოლმსის გუბერნიის სასწავლებლებს უმორჩილებს კიევის მზრუნველს.

მიიღეს აგრეთვე კოვალევსკის წინადადება შემზღუდველ მუხლების გამოტოვებისა მემარჯვენეთა და ნაციონალისტების წინააღმდეგ.

მოიწონეს **მომხსენებელის ჩიხაჩევის** წინადადება იმ მუხლთა ერთად განხილვისა, რომელნიც ხოლმშჩინის სასამართლოსა და სასამართლოს საქმის წარმოების დროს ადგილობრივ ენათა ხმარებას ეხება.

**იუსტიციის მინისტრის თანაშემწე ვერიოვკინი** წინააღმდეგია კომისიის წინადადებისა, რომელთაც მომრიგებელ სასამართლოსა და სამინო სამმართველოში სამშობლო ენის ხმარების ნება ეძლევათ ხოლმსის გუბერნიაში მცხოვრებთ. ხოლმსის გუბერნიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება ნაადრევად მიაჩნია მთავრობას. იქ პოლონელები ძალიან ემტერებიან რუსებს და ამიტომ შეუძლებელია ასეთი სასამართლო მიუდგომელი იყოს.

**შეჩკოვს** გაპოლონელების უებარ საშუალებად კალენდარი მიაჩნია. ამიტომ მოითხოვს, რომ გაუქმდეს 1889 წლის 15 მაისს გამოცემული წესები, რომლითაც კათოლიკეთა უქმეებში პოლონელ მოსწავლეთ სასწავლებლებში აუქმებენ. წინააღმდეგია აგრეთვე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებისა.

**პარჩევსკი** მოითხოვს სამინო სასამართლოში ადგილობრივ ენაზე საქმის წარმოების დადასტურებაზე და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებას.

**ტიმოშკინი** მოითხოვს ხოლმსის გუბერნიაში ძველი კალენდრის შემოღებას.

**მასლენიკოვი** პროგრესისტების სახელით მოითხოვს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებასა და ადგილობრივ ენათა შეზღუდვის მოსპობას.

**ეპისკოპოსი ევლოგი** მომხრეა ძველის კალენდრის შემოღებისა. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება კი ჯერ-ჯერობით სახიფათოდ მიაჩნია.

**დიმშა.** მინისტრმა ადგილობრივ ენათა საწინააღმდეგოდ საგულისხმო ვერა სთქვა რაო.

**სათათბირომ მოხსენებელ ჩიხაჩევის** სიტყვის შემდეგ უარჰყო ყველა შესწორებანი და მუხლები მიიღო კომისიის რედაქციით

**საღამოს სხდომა.**

საღამოს სხდომაზე **როძიანკო** თავმჯდომარეობდა.

განაგრძეს განათლების მინისტრის განმარტების განხილვა, რომელიც ეხება უმაღლეს სასწავლებლიდან მოსწავლეთა დათხოვნასა და სტუდენტთა კრების აკრძალვას.

**აჯემოვი** ამტკიცებდა, რომ მუხლი, რომლის ძალითაც მინისტრი თავს იმართლებდა, დიდი ხანია გაუქმეს. მინისტრმა სთქვა, ჩემი წინამორბედნიც ასე იქცეოდნენო. მაგრამ 1905 წლის შემდეგ დიდი ცვლილება მოხდა. ეხლა მინისტრს არაჩვეულებრივ შემთხვევაშიაც არა აქვს ნება კანონის მიუხედავად იმოქმედოს. მინისტრმა ჯერ განაცხადა, ავტონომია არ არსებობსო და შემდეგ დაუმატა, თუ საუნივერსიტეტო საბჭონი გონივრად მოიქცევიან, ავტონომიაც დაუბრუნდებათო. სათათბიროს პირველად ესმის ასეთი რამ: მინისტრსაც თავის დღეში არ განუცხადებია, ჩემზეა დამოკიდებული კანონის მოქმედების შეჩერებაო. სათათბირო მარტოოდენ მინისტრის უკანონობას კი არ უნდა ებრძოლოს, არამედ თავისი უფლებანიც უნდა დაიცვას.

**უვაროვი**. მინისტრმა თვითონ აღნიშნა თავისი შეცდომანი და სთქვა: შეცდომა დათხოვნილ მოსწავლეთა უკან მიღებით გამოვისყიდეო. მაგრამ შეცდომის ჩადენა რაღა იყო? მოლაპარაკე შეეხო სამედიცინო ინსტიტუტის ისტორიას და სთქვა: ინსტიტუტის საბჭოს თებერვლის დადგენილება, რომლის ძალითაც სემესტრი არ ჩაეთვლებოდათ მოსწავლე ქალებს გაფიცვის გამო, ამტკიცებდა, რომ დადგენილება სავსებით ეთანხმება მინისტრ ვანოვსკის მიერ 1902 წელს გამოცემულ განკარგულებასო.

**ტესლენკომ** დაწვრილებით გაარჩია მინისტრის განმარტება და კომისიის მოხსენება. ორივე მოხელეების ნაცოდვილარს შეადგენს, რომელნიც ცდილობენ მინისტრის გასამართლებლად კანონები გამონახონ და, თუ კანონი არ იქნება სენატის განმარტებანი ხომ ბლომადაა. მინისტრმა ძალიან საინტერესო თეორია შექმნა, იგი თეორია ეხება მინისტრის გარდაქმნას და ამბობს: უმაღლესი მთავრობა უმდაბლესსაც შეიცავსო. ასეთი თეორია ახალი ხილია მეცნიერებისათვისაც. მით უფრო საგულისხმოა ეს თეორია, რომ მინისტრი გარდაქმნის დროს მარტოოდენ უფლებას იტოვებს, ვალდებულებას კი უარჰყოფს. მინისტრმა მოულოდნელ ამბად დასახა სტუდენტთა მოძრაობა და არა სოციალურ მოვლენად და ისე მოექცა, როგორც კრილოვის საარაკო დათვი-მეუდაბნოეს. მოლაპარაკემ მოიყვანა ნამინისტრალთა-პლევეს და ტრეპოვის-აზრი, რომელნიც წინააღმდეგნი იყვნენ უნივერსიტეტიდან სტუდენტთა გამორიცხვისა. მინისტრმა მემარჯვენე პროფესორებით გაავსო უნივერსიტეტები, პოლიტიკა შეიტანა და ეხლა ქაღალდზე და არსებობენ ისინი. გამოცდილ მეცნიერებს ითხოვენ და როგორც წინად გატაცებულნი იყვნენ „პოტეშნებითა", ისე ეხლა „პოტეშნიკ" პროფესორებით არიან გატაცებულნიო. (მემარცხენეთა ტაში).

**მეიენდორფს** ძალიან სუსტად მიაჩნია მინისტრის თავის მართლება. იგი თავის წინამოადგილეთა მოქმედებით იმართლებს თავსაო. შეიძლება პატიება დაიმსახუროს, მაგრამ ვერ კი გაამართლებთ. მინისტრი გზა აბნეულად მოქმედებს. ჯერ სასტიკად მოიქცევა და შემდეგ არბილებს ამ სისასტიკეს. მინისტრს კანონიერად მიაჩნია ის, რასაც კანონი უკანონობად სთვლის. მინისტრი იმასა სდევნის, რასაც კანონი ესარჩლება. აი სად არის ტრაგიზმი. აქ ორი მსოფლმხედველობა შეიტაკა; 1905 წლის უმაღლეს ბრძანების აზრი და ეხლანდელ მინისტრის პოლიტიკა. აართლაც უმაღლეს სკოლის საქმე ცუდად არის. არა მგონია, მინისტრმა გააწყოს საქმე. მინისტრი პროფესორებსურჩევდა: ტაშის ცემას ნუ დაიძებთ, მოვალეობა აასრულეთო.. მეც იმედი მაქვს, მინისტრი ტაშს არ გამოუდგება და ეცდება სამსახურისა და მოქალაქის ვალი შეასრულოს (მემარცხენეებმა და ცენტრის ნაწილმა პანგრძლივის ტაში დააჯილდოვეს მოლაპარაკე)..

**კაპუსტინი**, იმედი გვქონდა. რომ 1905 წლის შემდეგ, როდესაც ჩვენი ცხოვრება შეიცვალა, უნივერსიტეტში საპოლიტიკო საკითხები ვეღარ მოიკიდებდა ფეხს. მაგრამ, ალბად აკლდათ უნივერსიტეტებს ახალი წესწყობილების შესაფერი ცხოვრება. ეხლანდელი მოძრაობა სტუდენტობისა არა ჰგავს 1905 წლისას. ეხლა თუმცა არიან მგრძნობიარენი, მაგრამ სარევოლუციო მოქმედებას აღარ ეწევიან. რუსი პროფესორები თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებენ და, თუ ემდურება ვინმე ისინი ვისაც პროფესორი ციხე ზედამხედველად წარმოუდგენია და სტუდენტები პატიმრებად. (მემარცხენეთა ტაში). მოლაპარაკეს სამართლიანად მიაჩნია უნივერსიტეტთა სურვილი, რომ პროფესორების არჩევის უფლება მოიპოვონ. პროფესორთა ლიბერალობა გასაკვირველი არ უნდა იყოს, რადგანაც უმაღლესი ინტლიგენცია ყოველთვის ასეთი იყო.

დაგვიანების გამო მოლაპარაკემ სიტყვა შესწყვიტა.

შემდეგი სხდომა პარასკევს მოხდება.

# სახელმწიფო საბჭო

21 თებერვლის სხდომა.

**აკიმოვი** თავმჯდომარეობს.

განაგრძობენ ადგილობრივი სასამართლოს განახლების პროექტის მუხლებრივ განხილვას. სხდომის შეწყვეტამდე კომისიის რედაქციით მიიღეს მუხლები მეექვსედან დაწყებული 15-დის, რომლებიც სათემო სასამართლოს წევრებისა და თავმჯდომარის არჩევის წესებს, არღვევს აგრეთვე სასამართლოს შემადგენლობას და მოსამართლეთა და თავმჯდომარის ჯამაგირის რაოდენობას.

სხდომის განახლებისას იხილავენ პროექტის 16—24 მუხლებს, რომელნიც სათემო სასამართლოს საქმის წარმოებას ეხება.

**სტიშინსკის** წინადადება შემოაქვს, განსაკუთრებითი მუხლი აღნიშნონ კანონ-პროექტში, რომ სათემო სასამართლოებში აუცილებლად სახელმწიფო ენა იხმარებოდეს.

წინადადების წინააღმდეგ ილაშქრებს **იუსტიციის მინისტრი** და ამტკიცებს, შესწორება არსებითად უსაფუძვლოა, ხოლო ფსიხოლოგიურად მავნებელიც, რადგანაც ძირითად კანონების მე-3 მუხლს ძალას დაუკარგავს და ებრაელებს საბაბს მისცემს თვის ენაზე აწარმოვონ საქმე სათემო სასამართლოში. ჩვენ ისეთ დროში ვცხოვრობთ, როდესაც ეროვნულ საკითხს ავადმყოფური ხასიათი მიეცა. სასამართლოს პრაქტიკამ დაგვიმტკიცა, რომ უკანასკნელ დროს ისეთი პირნიც კი გაურბიან სახელმწიფო ენის ხმარებას, რომელთაც იგი კარგად იციანო.

ყველა შესწორებანი უარჰყვეს. მუხლები 16—24 კომისიის რედაქციით მიიღეს.

შემდეგი სხდომა 23 თებერვალს მოხდება.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

◆ **კავკასიის ნამესტნიკს გუშინ წარუდგა** ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი კავკასიის უნივერსიტეტის საკითხის გამო.

◆ **არეულობა სასულიერო სემინარიაში.** გუშინ, 23 თებერვალს, ტფილისის სასულიერო სემინარიაში მოსწავლეებმა არეულობა მოახდინეს. ამ ამბავს პოლიციის ცნობა ამნაირად გადმოგვცემს: „დილით 23 თებერვალს, ტფილისის მართლ-მადიდებელთა სასულიერო სემინარიის პირველ, მეორე და მესამე კლასის მოსწავლენი (რუსებისა და ზერძნების გარდა) სემინარიის ტალანში (კორიდორი) მოგროვდნენ და კლასებში გაკვეთილებზე შესვლა არ მოისურვეს. რექტორისა და სემინარიის ინსპექციის თხოვნა-დარიგებამ არ გასჭრა: მოსწავლეებმა ხმაურობა ასტეხეს და სხვა და სხვა მოთხოვნილების წარდგენას აპირობდნენ. რადგანაც მოსწავლენი სემინარიის მთავრობას არ დაემორჩილნენ, სემინარიის შენობაში მოწვეულ იქნა პოლიციელთა რაზმი. მივიდა პოლიცმეისტერი პოლკოვნიკი ზასიპკინიც, რომელმაც მოსწავლეებს გადაჭრით გამოუცხადა, არავითარ მოლაპარაკებას არ გავმართავ თქვენთანაო. ამასთანავე გადაჭრითვე მოსთხოვა, დაშლილიყვნენ და კლასებში შესულიყვნენ. მოსწავლენი ამ მოთხოვნას დაემორჩილნენ. ამის შემდეგ პოლიცმეისტერმა ყველა განყოფილება სათითაოდ მოიარა და მოსწავლეებს წინადადება მისცა. განცალკევებულიყვნენ ისინი, ვისაც სწავლა არ უნდოდა. გამოირკვა, რომ სწავლა ყველასა სურდა. სამსავე კლასში სწავლა დაიწყო და წესიერება აღარ დარღვეულა. პოლიციამ შეიპყრო 15 მოსწავლე. მათ ბრალდებათ არეულობაში მხურვალე მონაწილეობის მიღება.

◆ **მ. ჯანაშვილის ლექცია.** კვირას, 26 თებერვალს, დილის 10 ნახ. საათზე, სახალხო სახლში მოსე ჯანაშვილი ლექციას წაიკითხავს შემდეგს თემაზე: „ქართველთა ისტორიისა და მის წყაროების საზოგადოების საზოგადო განხილვა". ლექციის პროგრამა შემდეგია:

1) მოკლე შესავალი. 2) წყაროების დახასიათება. ქრისტიანობა. სახელმწიფო. წყობილება. აღებ-მიცემა. სავაჭრო გზები. საცმელი. ხუროთ-მოძღვრება და ხელოვნება. მინიატურები. სამართალი. ქრონიკონი. კალენდარი. მკურნალობა. ჩვეულებანი: სტუმართ-მოყვარება, გალობა, ანდაზა-გამოცანები, ცრუმორწმუნეობა, თქმულება სურამის ციხის შესახებ. 3) დასკვნა.

◆ **სამრევლო სკოლების საოლქო მეთვალყურე** მ. პაშეევიჩი სამსახურის საქმეთა გამო პეტერბურგს გაემგზავრა.

◆ **პ. პ. არქიპოვი.** მიწათმოქმედების სამინისტროს კავკასიის რწმუნებული, 21 თებერვალს პეტერბურგს გაემგზავრა.

◆ **„რეჩ"-ის აღკრძალვა.** გუშინ პოლიციამ ტფილისის სადგურზე დააკავა პეტერბურგის გაზეთ „რეჩ"-ის ახალი ნომერი, თანახმად პეტერბურგიდან მიღებულ განკარგულებისა.

◆ **ლექციები.** ცნობილი ლექტორი ა. ლისოვსკი 25 და 26 თებერვალს სახაზინო თეატრში ორს ლექციას წაიკითხავს,

◆ ბ-ნ **ახალციხელს** გადმოუთარგმნია **ტურგენევის** მოთხრობა „**წინა დღით**" (На канунѣ).

◆ 23 თებერვალს პატარა წვიმა მოვიდა.

◆ გუშინ **10 მეპურეს შეუდგინეს ოქმი** სავალდებულო წესების დარღვევისათვის.

◆ 22 თებერვალს ტფილისში 29 უპასპორტო შეიპყრეს.

### საზოგადოებანი და კრებები

◆ **სახლის პატრონთა და სახლის დამქირავებელთა საგანგებო კომისიის** კრება 21 თებერვალს მოხდა ა. ს. ბაბოვის თავმჯდომარეობით. კრებამ განიხილა საკითხი: რა ტიპის ბინებია საჭირო და დაადგინა: ააშენოს ერთ-სართულიანი და ორ-სართულიანი სახლები, რომელშიაც მოთავსებული იქნება ერთი, ორი, ან სამი ბინა. თითონ ბინა ორისა, სამისა, ოთხისა და ხუთის ოთახისაგან უნდა შესდგებოდეს. ამ ბინების საკუთრებად შეძენის უფლება მხოლოდ საზოგადოების წევრთ ექმნებათ. გასაქირავებლად აშენებულ უნდა იქმნას კაზარმების ტიპის სახლები.

◆ **ქალაქის საბჭოს საუნივერსიტეტო კომისიის** კრება 21 თებერვალს მოხდა. კომისიამ მსჯელობა იქონია ტფილისის უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე და იმ აზრს დაადგა, რომ მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში შესაძლებელი იქნება იმ დაბრკოლებათა დაძლევა, რომელიც ტფილისის უნივერსიტეტს ელობება წინ. კომისიამ ამასთანავე დაადგინა, საბჭოს სთხოვოს, აღძრას შუამდგომლობა ტფილისის უნივერსიტეტის მთავარ კომიტეტის კრების მოწვევის შესახებ.

◆ **ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიის** კრება დღეისთვის არის დანიშნული.

## ქუთაისი.

◆ ქუთაისის ოლქის სასამართლომ 18 თებერვალს ბათომში **ყაჩაღი მამედ-ტოსუნ-ოღლის საქმე გაარჩია, რომელიც მოკლულად ითვლებოდა და ცოცხალი კი აღმოჩნდა.** საქმე ასე ყოფილა, შარშან ბათომის გუბერნატორს ართვინის მცხოვრებლებისათვის გამოუცხადებია: „ვინც ყაჩაღ მამედ-ტოსუნ-ოღლის შეიპყრობს, ან მოჰკლავს, ჯილდოს მიიღებსო". საეროზო დარაჯს ახმედ-ალის პირადის ინტერესით ვიღაც უცნობი მოუკლავს, და იმ ყაჩაღად მოუნათლავს. ყაჩაღი კი ისევ თავისუფლად დათარეშობს ართვინის მთებში და მოკლული სრულიად უდანაშაულო კაცი აღმოჩენილა. სასამართლომ ღირსება აჰხადა ახმედ-ალის და საუკუნო კატორღა მიუსაჯა.

◆ 17 თებერვალს, ქუთაისში აბულაძის შესახვევში სასწავლებლის ქიშკართან [illegible] ტელეფონის სადგურის ორ მუშას ტელეფ[illegible] მოეთხარათ და მოეყვანათ კურტნიანი მუშა ბოძის წასაღებად. მუშებს აუწევიათ ბოძის ერთი თავი, კურტნიანი მუშა ქვეშ შესდგომია და ზურგზე მოუდვია ბოძი, მაგრამ უგრძვნია დიდი სიმძიმე, ვეღარ წამომდგარა ფეხზე, მუშები მიშველებიან, აუწევიათ ბოძი ზევით და მუშა გაუნთავისუფლებიათ, მაგრამ იმათაც ვეღარ დაუმაგრებიათ ხელში ბოძი, დაუძახნიათ ქუჩაში მიმავალთათვის „დაიწიეთ, მარცხი არ მოხდესო" და გაუშვიათ ხელიდან 8—9 წლის მოსწავლეს მიხეილ ჰანტურიას ვეღარ გაუსწრია და ბოძის ერთი ბოლო მოხვედრია თავში; საცოდავი სამი წუთის განმავლობაში გარდაიცვალა. („კოლხ.")

◆ 21 თებერვალს ქუთაისის საოლქო სასამართლომ გაარჩია ქუთათურ მდაბიო მოქალაქეთა მამასახლისის **ისმაილ გოგოლაშვილის** საქმე. მას ბრალდებოდა ს. ფაღავას დაჭრა. სასამართლომ გოგოლაშვილი დამნაშავედ იცნო და სამი წლით გამასწორებელ რაზმში გაგზავნა მიუსაჯა.

◆ როგორც გავიგეთ **ბაღდადის** რაიონში აღმოჩენილა **ნავთის უტყუარი ნიშნები.** ინგლისელ კაპიტალისტს ადგილის მეპატრონეთათვის (რვა ნაჭერ მიწაში) **შეუძლევია ერთი მილიონი და ორასი ათასი მანეთი.**

◆ 26 თებერვალს ქუთ. ოლქის სასამართლო გაარჩევს **ბესარიონ ჩიქოვანის საქმეს.** ჩიქოვანს მკვლელობა ბრალდება.

◆ სასულიერო სასწავლებლების რევიზორი ბ-ნი სავაიტსკი მალე დაამთავრებს რევიზიას ქუთაისის სასულიერო სასწავლებლებისას, და აქედან ტფილისს გაემგზავრება.

◆ 20 თებერვალს საჩხერეში ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესიამ გაარჩია **საქმე ფასია აბაშიძისა,** რომელსაც დიდებულიძის მოკვლა ბრალდებოდა. სასამართლომ იგი გაამართლა. ამავე დღეს საჩხერეში გაირჩა **საქმე სერგო ბაქრაძისა,** ბაქრაძეს ბრალდებოდა ღუღუნიშვილის მოკვლა. ბაქრაძე სასამართლომ დამნაშავეთ იცნო და ექვსი წლის კატორღა მიუსაჯა.

◆ 21 თებერვალს ქალაქის გამგეობამ მიიღო 1912 წ. **ანგარიში ქალების უფასო სასწავლებლის** უფროსისაგან. სამოსწავლო წლის განმავლობაში სასწავლებელში ყოფილა 217 მოსწავლე. სწავლა დაუსრულებია 18 მოწაფეს.

# შლისელბურგში

(დასასრული *)

„სამუდამო კატორღა", ეს ორი სიტყვა ჩემს გონებაში იმავე კილოთი, ხელოვნური, მრისხანე, საზეიმო კილოთი გაისმოდა, როგორც ის პირველად წარმოსთქვა ჩემს წინ პეტროპავლოვის ციხის უფროსმა.

აი დედა ჩემი — პეტროპავლოვის ციხეში თვეში ორჯელ ოცი წუთით უშვებდნენ ნახვას—გულს მიმაგრებს და სხვათა შორის მთხოვს:

— მომეცი, მომეცი, გენაცვალე, სიტყვა, რომ ერთს არ ჩაიდენ! რომ ეცდები, ის რაც შეიძლება დიდხანს არ ჩაიდინო!

მივხვდი რასაცა მთხოვდა. მაგრა ვიქნები, მოვითმენ, გადავიტან მეთქი, მაგრამ შეიძლება მოხდეს ისე, შეიძლება „კატორღულ მდგომარეობაში" მოხდეს ისეთი რამ, რაც მაიძულებენ ეს ჩავიდინო.

რასაკვირველია ჩვენი ლაპარაკი იმას ეხებოდა, რომ შესაძლებელი იყო ისეთი წუთი ჩემს ტანჯვაში, როცა ამ ტანჯვათა ბოლოს მოღება აუცილებელი იქნებოდა თვითმკვლელობის საშუალებით, როცა ასეთ „ვადამდე" განთავისუფლება შეიქნებოდა აუცილებელ საჭიროებად. მაგრამ ეს სიტყვა საზარელი იყო, საზარელი, და არც მე, არც დედაჩემი, კრინტს არ ვსძრავდით მასზე მხოლოდ გვესმოდა რაზედაც ვლაპარაკობდით, როცა ვამბობდით „ეს" შეიძლება მოხდესო...

აქ ფიქრის გონება ისევ პეტროპავლოვის ციხეს უბრუნდება. აი შეასრულეს გარეგნულად ყველაფერი, რასაც კანონი მოითხოვდა. ჩამწყვდიეს საკანში.

— აქ სიმღერა არ შეიძლება! აი პირველი წესი, რომლითაც პირველ შეხვედრისათანავე უმასპინძლდება ბოროტი, ღვარძლი უფროსი ნაფიცი; ეს იყო სიტყვები, რომელიც მან პირველ ნახვისასვე ბოროტი ცერებერივით ნაწყვეტ-ნაწყვეტ წამოიყეფა.

— ჰმ, რათა ჰგონია, რომ მე აქ მინდა ვიმღერო? ღმერთო ჩემო, აქ სიმღერა! ამ ადგილას სიმღერა! - ვფიქრობდი თავზარდაცემული: განა პეტროპავლოვის ციხეში მღერიან? მე სასიმღეროდ არ ვემზადები, მივუგე ჩემს თავს ნაფიცის განცხადებაზე.

შემდეგ ხუთი საათის მღვიძარე ძილში წარმომიდგა „თავისუფლების" დღენი, უკვე მოსჩანს ბურუსში შლისელბურღი, გონებაში კი ისე ნათლად, ცოცხლად, თითქოს ეს მხოლოდ გუშინ ყოფილიყოს, მაგონდება დღე, როცა ფარულად დავეხეტებოდი პეტერბურგში. აი სწორედ ასეთივე, როგორც ეხლაა, შემოდგომის ბურუსიანი და ასეთივე, შიშითა და მოულოდნელობით სავსე ღამე იყო. ჩემს კარგ მდიდარ ნაცნობებთან ვიყავ მთელი დღე. ჩაი დავლიეთ. ღამის ათ საათზე სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ. ჩემი მასპინძელ - მეგობარნი მოუსვენრად შემომყურებენ. გრძნობენ, რომ ვერა ფიგნერი მათთან ღამის გასათევად დარჩება. მას აღარაფერსა ჰკითხავენ, არაფერს ეუბნებიან, მაგრამ თვერთმეტი საათისთვის როგორღაც გამოიცვალნენ. ლაპარაკის საგნად პოლიცია ჩამოაგდეს. შიშით ერთმანეთს ეკითხებიან სახლში ხომ არაფერია ისეთიო. ვერა ჰიჰხვდება ყველაფრით, გრძნობს, რომ „საყვარელი ხალხი" დიდი მადლობელი იქმნებოდა მისი, ღამის გასათევად სხვა დროს რომ მოსულიყო და არა დღეს, „ასეთ საშიშ დროს!"

სტუმარი მიუხვდება და მასპინძელნი გაჭირვებიდან გამოჰყავს. ყველანი გახიარულდნენ, როცა ის ადგა გამოსათხოვებლად. ყველა სიყვარულით ართმევს ხელს, ქალები ჰკოცნიან და „მშვიდობით" ისტუმრებენ!

ვერა მხიარულად გამოეთხოვება, გამოდის ქუჩაში. აქ ტურფა სტუმარი დაღვრემილ სახეს იღებს. ცივა, ჟინჟღლავს.

ვერა ტანისამოსს უფრთხილდება. ჰასაც ხომ ლამაზად უნდა ეცვას, სუფთად, სახესაც უნდა მოუაროს „კეთილსაიმედობისათვის". ვერა გაივლის თითქმის მთელს პეტერბურგს, მიდის სხვა მდიდარ, წარჩინებულ და თანამგრძნობ ნაცნობებთან, მაგრამ აქ მას მაშინვე უცხადებენ:

— პოლიციას ველით. მოგასწრებენ!

და ეს ჩვეულებრივ დროს საყვარელი და ძალიან „გულ თბილი" ხალხი, შეჰყურებს დაბნევით, პირშავად. დიასახლისს ლამფა მაღლა აუწევია. მათი თბილი, მოწყობილი ოთახები ამ ლამფის შუქით ნახევრად განათებულია. როგორ იწვევენ ვერას დასასვენებლად, როგორ იწვევენ! მუხლები ეკეცება. მასპინძელნი კი ერთს წუთსაც არა სთხოვენ სკამის შეთავაზებაც კი დაავიწყდათ.

— არა მიშავსრა, არა მიშავსრა! ვიშოვი ბინას, ძალადაუტანებლივ, მხიარულად, ალერსით იცინის სტუმარი, მეგობრულად ართმევს მასპინძელი თბილს ხელს და ისევ ქუჩაში გამოდის წვიმაში, წუნწუხში.

მოქანცულობა თავისას შვრება, მუხლი ეკეცება, ეზარება სიარული, ფეხი უკვე მშრალს ალაგას არ ეძებს, ხელი ისე აღარ უფრთხილდება კაბას წუნწუხისაგან!

ვერ მოუფიქრია სად წავიდეს ახლა, ვის მიადგეს კარზე? ვერას აგონდება პეტერბურგის მხარეს ხის პატარა სახლი. იქ მუშები სცხოვრობენ. შორს არის, დიდხანს მოუხდება თრევა წვიმაში, ლაფში, მაგრამ იქ ერთგული თავსაფარია. „არალეგალურს" სახეზე ღიმი გადუქროლებს, მოაგონდება თუ არა კარგი, საყვარელი ხალხი, რკინის გზის მუშების ოჯახი.

ორი საათის წოწიალის შემდეგ, შუაღამისას, უკაკუნებს ფანჯარას, როგორც ნიშნადა აქვთ დადებული, აღვიძებს მუშებს და ერთი წუთის შემდეგ მის ირგვლივ დაფუსფუსებენ კეთილი, ნამდვილი, კარგი ადამიანები. გუშინ აქაც იყო პოლიცია, შეიძლება დღესაც მოვიდეს, მაგრამ ამაზე სიცილითა ლაპარაკობენ. ხელად აჩუხჩუხებენ სამოვარს. სტუმარს ტანისამოსს უცვლიან, აცმევენ თბილს, დიასახლისისას. თბილა, კარგია, თბილა სულიერად—ამ მუშის საყვარელ ოჯახში. ვერა გამოცოცხლდა. რა იქნა დაღლილობა, მოქანცულობა! არწევენ გაცივებულს, ქარდაკრულს ბავშვებს, არწევენ დროებით აყვანილ სხვის ბალღს, უშლიან სტუმარს ლოგინად ყველაფერს, რაც საუკეთესოა სახლში. მოილაპარაკეს, ყველა ზომები მიიღეს „დეპეშის" წინააღმდეგ (ერთმანეთში ასე ეძახიან პოლიციას ისინი, ვინც ღამის „ვიზიტებს" მოელიან) და კმაყოფილნი, ბედნიერნი, რომ „არალეგალურს". ბინა მისცეს, ყველანი ძილს ეძლევიან.

— ჰოპ! გემმა შეჩერება იწყო. მივედით შლისელბურღში.

გათოშილი ვარ, შებორკილი, დამტვრეული, მშიერი, მაინც თავს ვიმაგრებ. შემოჰხვია მთელი ხროვა აფიცრებისა, ჟანდარმებისა, ჯარისკაცებისა. ციხის კარებისკენ მივყევართ.

შემიყვანეს ციხის ეზოში. შლისელბურღის გარეგნობა ისეთი მრისხანე, საშიში არ მეჩვენა, როგორიც მეგონა. პირიქით! პატარა, მხიარული, სუფთა სოფელი წარმომიდგა თვალწინ, მეამა. რამდენიმე თეთრი სახლი—აგარაკი; სახლების ახლოს პატარა ბაღჩები, ეკლესია, — ისეთი ლამაზი, სადა, პატარა ეკლესია ოქროს თავიან გუმბათით, ზედ ოქროს ჯვრით. ყველაფერი მშვიდი, სადაა, თუმცა პატარა ჭალის გატიტვლებული ხეები მეუბნებიან, რომ ლამაზად, მწვანედ შეიმოსებიან, ჩიტები მხიარულად იჭიკჭიკებენ, როცა აქ გაზაფხული დადგება წითელ, ახალ ორ სართულიან შენობასთან მიმიყვანეს. სრულიადაც არ იყო საშიში ეს შენობა, სრულიადაც არ წააგავდა ციხეს, ეს უფრო პატარა ფაბრიკას მოგაგონებდათ.

შემიყვანეს კანტორაში. შემხსნეს ხელებზე ბორკილი და ერთ სამხედრო ექიმის ტანისამოსში გამოწყობილ ახალგაზდა ბიუროკრატთან ერთად დამტოვეს. ოთახში შემოვიდა სუფთად ჩაცმული ხანში შესული დედაკაცი. რიგიან სახლის გამგეს, ჰგავნდა. ექიმი ზურგს მაქცევს, დედაკაცი კი წინადადებას მაძლევს ტანთ გავიხადო. თითონაც მშველის. რამდენიმე წუთი და მე სრულიად ტიტვლიკანა ვიდექი.

აღშფოთებული ვიყავ თუ არა? პროტესტს ვაცხადებდი თუ არა? ვთრთოდი თუ არა სიბრბზისაგან ანუ სიცივისაგან? ვჭირვეულობდი აქეთიქით ამაო რისხვისაგან თუ არა?

არა! ვიდექი მშვიდად, თითქოს წყნარად ვიდექი გაუნძრევლად! ვიდრე ექიმი, რომელიც ჩემსკენ მოტრიალდა, მსინჯავდა. ის სკამიდან ადგა, ორჯელ გარშემო შემომიარა. დაჯდა თავის ალაგას, რაღაცის წერა იწყო. დედაკაცი კი ისევ მაცმევდა ქვედატანს, ფეხსაცმელს, მახვევდა თავშალს.

— მაგრა იყავ, ვერა-ვეუბნებოდი ჩემს თავს.-ეს სხეული უკვე შენ აღარ გეკუთვნის. ამან შენ არ უნდა შეგაშფოთოს. რაც უნდა უყონ შენს სხეულს, შენთვის ეს შეურაცხყოფა არ არის. ჩემს ჯვარს ბოლომდე მივიტან!...—და მე უსიტყვოდ, კრინტ დაუძვრელად გადავიტანე ეს პირველი დამცირება შლისელბურღში. როცა სასჯელის გადაწყვეტის შემდეგ ასეთი დამცირება მიაყენეს ჩემს დას ევგენიას, მე ავშფოთდი, ჩემის გულისწყრომა განვუცხადე შინაგან საქმეთა მინისტრს გრაფ ტოლსტოის. მინისტრი განრისხდა, მითხრა ეგ უკანონობაა, მეტი სიმკაცრეაო. ეხლა კი იგივე მიყვეს მეც.

ამას მოჰყვა აუზში ბანაობა, რაიცა უფრო იმიტომ იყო საჭირო, რომ დედაკაცს, რომელიც მე მჩხრეკდა, შეძლება მისცემოდა უკეთესად დაესრულებინა თავისი საქმე.

შემდეგ კი პატარა ბოგირი გამატარეს დერეფნისკენ, რომელიც ისე იყო გაკეთებული, რომ ყველა ორმოცივე საკანის ნომერი მოსჩანდა, და № 26-ში საკანში გამომაწყვდიეს. ჩამოვარდა სიჩუმე, სიჩუმე რომელიც ჩემთვის სამუდამო უნდა ყოფილიყო. ამიტომ მაშინებდა უფრო ეს სიჩუმე, მტანჯავდა, ლოდინით დამაწვა, შიშმა შემბორკა. რამე გამოხმაურებას, რომელიც ამ სიჩუმეს არღვევდა, ჩემთვის ის აზრი არა ჰქონდა, რაც აქვს ჩვეულებრივ ცხოვრებაში.

ჩემი საბრალო, დაწყლულებული, დაავადებული გული იტანჯება საშინლად, ილევა, ილევა...

— მაგრა იყავ, ვერა! შენ მარტო არა ხარ! აქ, შენ გვერდით, თუმცა ვერა ჰხედავ, მაგრამ იტანჯებიან ემაგრე, როგორც შენ, შენი ამხანაგები! შენ მარტო არა ხარ! მაგრა იყავ, ვერა!..

**სან-განიძე.**

*) იხ. „სახ. გაზ. № 531.

✦ ქალაქის გამგეობამ მოუვიდა ანგარიში 1911 სამოსწავლო წლის **ქალაქის მეორე პირველდაწყებითი** სკოლიდან. სასწავლებელში ყოფილა 221 მოსწავლე. ამათში სწავლის ფასი გადაუხდია 88, სწავლის ფულისაგან განთავისუფლებული ყოფილა 67, წლის განმავლობაში სასწავლებლიდან გასულა 38, ამათგან 23—სწავლის ფულის შეუტანლობისათვის! („ცხოვრ.“)

### ბ ა თ უ მ ი.

ბათუმს სამხედრო გუბერნატორმა გამოუგზავნა ქალაქის გამგეობას **ნამესტნიკის ცირკულიარი,** რომელშიაც ნათქვამია, რომ ის **სათათარიგო ჯარის კაცებს,** რომლებიც მსახურობენ სხვა და სხვა დაწესებულებებში და რომლებიც გაწვეულ იქნებიან ერთი თვით ჯარში სამსახურის გასამეორებლად, სამსახურის **ადგილი არ ეკარგებათო.**

**ბათუმის სამხედრო გუბერნატორი** წინადადებას აძლევს ქალაქის გამგეობას, რომ პირდაპირ გადასახადების კანონის 108 მუხლის ძალით მიიღოს ყოველივე ზომები ხაზინის და ქალაქის დარჩენილ გადასახადების ასაკრეფად და მასთან წარუდგინა იმ პირთა სია, რომლებზედაც დარჩენილია გადასახადები. აი მათი სია:

მემედ და სეფერ-ბეგ ბეჟანიძეზე—4675 მან. და 29 კაპ., მ. გ. ცეიტლინზე—3304 მან., კარაპეტ და სიმონ პუჩინიანებზე 3791 მან. და 15 კ. და ოგაჯან ხაჩიკიანის მემკვიდრეებზე—750 მან. და 26 კაპ.

✦ 24 თებერვალს, საღამოს 5 საათზე, ბათუმის საოლქო გამგეობის შენობაში დანიშნულია ოლქის უფროსის პოლკოვნიკ სატოვის თავმჯდომარეობით **საოლქო შემფასებელ კომისიის სხდომა.** კომისიის სხდომის განსახილველი საგანია ჩაქვის საუფლისწულო მამულის მიერ სარკინისგზოდ დათმობილ მიწის შეფასება, „ბ. გ.“

### კ ა ვ კ ა ს ი

✦ სტავროპოლის გუბერნიის სოფ. კაში-შურნში ავაზაკებმა გაძარცვეს რამდენიმე ოჯახი, **დასჭრეს 5 კაცი და გაიტაცეს 10,200 მანეთი.** სტავროპოლის გუბერნატორმა თერგის უფროსს დეპეშით აცნობა: ავაზაკები თერგის ოლქისკენ გამოემართნენო. თერგის უფროსმა დეპეშები დაუგზავნა მთელი ოლქის ადმინისტრატორებს. 19 თებერვალს ეს ავაზაკები შეუპყრია მოზდოკის ატამანს.

### ბ ა ქ ო

✦ ქალაქის უფროსმა პოლკოვნიკმა პ. ი. მარტინოვმა განკარგულება მოახდინა, რომ **გოლაჩევს აეკრძალოს „თამარდედოფლის 700 წლის გარდაცვალების“** დღესასწაულის გამართვა, რომელიც დანიშნული იყო 23 თებერვლისათვის. ნება დართო, გამართოს მხოლოდ კონცერტი, ხოლო თამარ დედოფლის, „დღესასწაულზე“ კი ხსენებაც არ იყოს. ქალაქის უფროსის ასეთი განკარგულება გამოიწვია **წ. ქ. გ. საზოგ. ბაქოს განყოფილების** შუამდგომლობამ. საზოგადოების გამგეობას განუცხადა, რომ ასეთი „დღესასწაულის“ გამართვა დამცირება და შეურაცხყოფაა თამარ-დედოფლის ხსოვნისა, მით უმეტეს რომ ვიღაც გოლავჩევი ფულის მოსახვეჭად ასახელებს თამარ-დედოფლის სახელს და „დღესასწაულის“ გადახდას ცირკში აპირებსო.

### ოზურგეთი

✦ ბ. საბახტარიშვილმა **თეატრის ასაგებად** 12 ათასი მანეთის მაგიერ 30 ათას მანეთიანი სმეტა წარუდგინა ქალაქის თვითმართველობას.

✦ ხმებია, სასულიერო **სასწავლებელს დახურვას უპირებენო.**

### პ რ ო ვ ი ნ ც ი ა

✦ **ს. გოჩა-ჯიხაიში** (ქუთაისი მაზრა). 18 თებერვალს, დილით, რვის ნახევარზე გოჩა-ჯიხაიში ჩაფარმა **ნიკოლეიშვილმა** მოჰკლა ტუსაღი **თ. თურქია,** რომელიც მიჰყავდა დიდი-ჯიხაიშიდან ხონში. ტუსაღს მოუთხოვია გარედ გასვლა, ჩაფარს ნება დაურთავს. იქვე ტყე იყო. ტუსაღს გაქცევა დაუპირებია და ტყეში სურდა თავის შეფარვა, მაგრამ ვერ მოესწრო, და ჩაფარმა იქვე მოჰკლა. ჩაფარი ნიკოლეიშვილი ხონში წაიყვანეს და შემდეგ გაანთავისუფლეს. თურქია დაასაფლავეს დროებით გზის თხრილში, სანამ გამოძიება მოხდებოდეს.

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ რეცენზიაში „საქველმოქმედო საღამო ქართულ თეატრში“ ხვათა შორის ერთი მნიშვნელოვანი შეცდომაა. **დაბეჭდილია:** „...თვალის წარმტაც სურათებში გამოხატეს ასოები თ, მ, და თ...“ **უნდა იყოს:** ა, დ, და ა“.

## ზელიმ-ხანი კავკასიაში

„ტერკი კრაის სიტყვით, ტყუილია ვითომც ზელიმხანი სპარსეთში გადასულიყოს-და სპარსეთის ქვეშევრდომობა მიეღოს.

„ტერ. კრ.“ თანამშრომელს 18 თებერვალს ულაპარაკნია ერთ მიურიდთან.

— ზელიმხანი კავკასიიდან არსად წასულა,—უთქვამს მიურიდს,—მისი გაპარვის შესახებ ხმები ნამდვილია. ზელიმხანი იმალება ან ვედენის და ან გროზნოს ოლქში, უფრო ვედენისაში, ჩვენ იმდი გვაქვს, რომ ამ ცოტა ხანში შევიპყროთ. დაფიცებულნი ვართ, რომ მას უსათუოდ ან ცოცხალს და ან მკვდარს ჩავიგდებთ ხელში.

— რამდენი ხართ სულ მიურიდები, რომელიც მას დასდევთ?

— 20,000 კაცამდის ვიქნებით. დასწერეთ, რომ ზელიმხანის დღეები დათვლილია, რომ იგი ხელიდან ველარსად წაგვივა. ნუ გგონიათ, რომ ეს ცარიელი სიტყვებია. ამას მალე დავამტკიცებთ.

— აქვთ თუ არა რაიმე საფუძველი ახალ ხმებს, რომელნიც ამტკიცებენ ზელიმხანი სპარსეთში არ მიმალულაო?—უკითხავს კორესპოდენტს.

ჩაჩანს საპასუხოდ ეშმაკურად გაუღიმია და თავის ქნევით კვლავ გაუმეორებია:

ზელიმხანი კვლავ კავკასიაშია და მისი აღსასრული დღეც დადგაო.

## საყოველთაო სწავლა

**(შემთანხმებელი კომიის სხდომა)**

17 თებერვალს საყოველთაო სწავლის კანონ-პროექტის თაობაზე სახელმწიფო საბჭოსა და სათათბიროს შემთანხმებელ კომისიას სხდომა ჰქონდა. თავმჯდომარედ აირჩიეს საბჭოს წევრი **ა. ნ. შვარცი,** მის მოადგილედ სათათბიროს დეპუტატი **ფონ-ანრეპი.** საერთო კამათის დროს საბჭოს წევრებმა განაცხადეს: სამრევლო სკოლების თაობაზე უთანხმოებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოეღება ბოლო, თუ სათაიბიროს წევრები დათმობის გზას დაადგებიან, თორემ ჩვენ არავითარი დათმობა არ შეგვიძლიანო. სათათბიროს წევრებმა: ფონ-ანრეპმა, ვორონკოვმა, ლვოვმა და კოვალევსკიმ უპასუხეს ეს უთანხმოება არსებითია და დათმობით ვერც ჩვენ დაგითმობთო.

მუხლობრივი განხილვის დროს ფონ-ანრეპმა შემთანხმებელი წინადადება შეიტანა: ამ კანონ-პროექტს ვუწოდოთ „სახალხო განათლების სამინისტროს საყოველთაო სწავლის შემოღებისათვის თანხის გადადების“ კანონ-პროექტი. უწმ. სინოდს კი საშუალება მივსცეთ, საკანონმდებლო დაწესებულებებში შემოიტანოს განსაკუთრებითი პროექტი მსგავს მიზნისათვის თანხის გადასადებად. სათათბიროს წევრმა კოვალევსკიმ ამ წინადადებას დაუმატა: საბჭოს წევრებს თვითონ შეუძლიათ თათსნობის წეს-რიგით კანონ-პროექტი შეიტანონ, რათა უწმ. სინოდს სამრევლო სკოლებისათვის საჭირო თანხა მიეცეს. კენჭის ყრით ფონ-ანრეპის წინადადება უარჰყვეს. მის წინააღმდეგ მისცეს ხმა საბჭოს ყველა წევრებმა (გარდა პროფ. ვასილიევისა) და სათათბიროს წევრმა სტანისლავსკიმ. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია მეორე არსებითმა უთანხმოებამ, საყოველთაო სწავლის შემოღების ვადის განსაზღვრის საკითხმა. პროფესორმა ვასილიევმა კომპრომისის სახით შემდეგი წინადადება შეიტანა: საყოველთაო სწავლის შემოღების ვადად 10 წელი მხოლოდ ევროპის რუსეთისათვის დავაწესოთო. წინადადებას მიემხრნენ სათათბიროს წევრები და საბჭოს წევრი შვარცი. კანონ-პროექტის ის ნაწილი, რომელიც მასწავლებელთა დრო და დრო ჯამაგირის მომატებას ეხება, საბჭოს რედაქციით მიიღეს.

(„რეჩი“).

## სასურველია თუ არა ხალხურ სასამართლოების

### დ ა ტ ო ვ ე ბ ა!

სახელმწიფო საბჭო ფრიად მნიშვნელოვან საგნის განხილვას შეუდგა. მის წინაშე სდგას საკითხი ხალხურ სასამართლოების ყოფნა-არყოფნისა.

ეს საკითხი, ვიმეორებ, ფრიად მნიშვნელოვანია, მისი ასე თუ ისე გადაწყვეტა დიდად დააჩნდება რუსეთის გლეხკაცობის ცხოვრებას.

## წლიურ ხელის მომწერთა საყურადღებოდ

ხელის მოწერის პირობების თანახმად წლიურ ხელის-მომწერად ითვლება:

ვინც ხელის მოწერის დროს განაცხადებს სურვილს, რომ მთელი წლით უნდა გაზეთი და მაშინვე შემოიტანს 3 მანეთს,

და ვინც წლიურ დანარჩენ ფასს გადიხდის 1 **მარტამდე 2 მ.**, 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენ 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

რადგანაც 1 **მარტი** ახლოვდება ვთხოვთ ვისაც შემოსატანი აქვს შემოიტანონ 2 მან.—წინააღმდეგ შემთხვევაში დაეკარგება წლიურ ხელის მომწერის უფლება, რომლის ძალიდაც პრემია **მიიღო** და ამიტომ გაზეთის გზანაც შეწყდება.

**„სახალხო გაზეთის“ კანტორა.**

ბევრი აზრი იყო გამოთქმული ხალხურ სასამართლოებზე, მრავალი ცხარე წერილი დაიწერა მათს ვითარება — მნიშვნელობაზე, უფრო მეტი სიტყვა თქმულა მათ მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა მიერ, მაგრამ დღემდე მაინც საკითხი წინანდებურად გამოურკვეველია, მოწინააღმდეგეთა აზრი წინანდებურად შეუთანხმებელია...

ზოგი ამბობს: ხალხური სასამართლოები იდეალურს რასმე წარმოადგენენ, მათი ხელის შეხება უგუნურობაა, გლეხკაცობის დაღუპვის გზაზე დაყენებაო. ზოგნი გაიძახიან: ყოვლად შეუძლებელია სამართლის გადაწყვეტა უსწავლელ გლეხთა ხელში დავტოვოთ, პროგრესის მოთხოვნილება - ამ „არქაიზმის“ მოსპობა, ინტელიგენტურ, კანონით ხელმძღვანელ მოსამართლეებით შეცვლაო.

ვინ არის ამ ორ ჯგუფში მართალი? რა სჯობს: ხალხური სასამართლო თუ მომრიგებელი სასამართლო („მიროვოი სუდი?“).

ჩემის აზრით, ამ საკითხზე ორი პასუხის მიცემა შეუძლებელია.

თუ შიდა რუსეთში კიდევ შეიძლება ამ საკითხის **დაყენება,** ჩვენში ესეც არ იქნება, ჩვენი ქვეყანა ისეთს პირობებშია, რომ ხალხურ სასამართლოების მაგიერ მომრიგებელ სასამართლოს დაარსება დიდს გაჭირვებაში ჩააყენებს ისედაც გაჭირვებულს ხალხს.

ეჭვს გარეშეა, რომ ხალხურ სასამართლოების დღევანდელი შემადგენლობა და მოქმედება ბევრს არა სასურველს მოვლენას წარმოადგენს; ცხადია, რომ მათი ორგანიზაცია ძირითადს **რეფორმას** მოითხოვს, მაგრამ ისიც მართალია, რომ, თუნდ დღევანდისებურ დამახინჯებულიც, ხალხური სასამართლო **ცოტათი მაინც ხალხურია,** ხალხურ ფსიხოლოგიასთან, ზნე-ჩვეულებასთან შეფარდებულ-შეწყობილი. მას დღეს ბევრი გასაჭირი ადგია, მაგალითად, რომ გული მაინც ხალხური, ქართული, ეროვნული აქვს... ჩამოაცალეთ მას ყველა არა რუსული მოვლენა, არა—ხალხური ნაწილი—და ნახავთ, თუ რა დიდებულად აყვავდება სმართალი ჩვენს სოფელში, რა მყუდროება გამეფდება მასში..

ნუ დაივიწყებთ იმ გარემოებას, რომ სასამართლოც უნდა დააწესოთ სოფლად, უპირველეს ყოვლისა **მოსამართლე** უნდა იშოვოთ — ასეთ მოსამართლეობას კი დღეს **სოფელზე** უკეთ ვერავინ გასწევს. ინტელიგენტ მოსამართლეს უპირველეს ყოვლისა არ ეცოდინება ხალხური ენა, მისი იურიდიული თერმინები... რა თქმა უნდა, აქა-იქ გამოჩნდება ამისი მცოდნეც, მაგრამ ეს იშვიათ შემთხვევაში იქნება, უმეტესად კი ქალაქიდან მოსული მოსამართლე ხალხს „ატეოდებზე“ და „ზაპრეშჩენიებზე“ დაუწყებს ბაას... ჩვენი ინტელიგენცია იმდენად დაბლა სდგას ხალხის ცოდნის მხრივ, რომ ეს, ვიმეორებ, უსათუოდ ასე იქნება. და თუ ეს ჩემი აზრი მართალი არ არის, შიში კი—საფუძვლიანი—რატომ არის, რომ დღეს, როცა სოფლად მრავალ ტომით ქართველ მოსამართლესა ვხედავთ—(მაგალითად „მიროვოი პოსრედნიკები“) ამ უკანასკნელთ, როგორც იტყვიან, არა იციან რა ქართულ იურიდიულ თერმინოლოგიისა და გლეხკაცებიც თუთიყუშებისავით იმეორებენ მათთვის უცნობ სიტყვებს: „ზაპლეშენია“ — „კრიპუსტის კუზჩი“—„ზაუჩნი რაშანიე“-ბს?!

და თუ ეს **ქართველ** მოსამართლეებზე ითქმის და მათს „სამწყსოზე“, რაღას უნდა მოველოდეთ იმ შემთხვევაში, თუ სოფლად მოსამართლეებად არა-ქართველებს განაწესებენ?!

აი მაშინ გაიგონებთ ყოველ დღე ფემიდის ტაძარში საჩივარს:

— კაცო, მე საჩივარი შევიტანე, იმან კი რაღაც „ისკი“ გამოიყვანა, მე მოწმეთ ჩვენებიანთ ივანე მოვითხოვე, იმან კი ვიღაც „ატვოდი“ ჩაწერაო.

**გ. ჟორდანია.**

## მეჯვრისხევის აჲ-პარგი

ადგილობრივ სამკითხველოს დარბაზში 11 თებერვალს მოხდა **სამკითხველოს წევრების კრება.** კრებას დაესწრო 10 კაცი და წევრად კი ირიცხება 48 კაცი. კრება შეუდგა ისეთი კითხვების განხილვას, რომელნიც, ჩემის აზრით ყველა წევრების ყურადღების ღირსიც იყო. უკეთესი იქნება ასეთი კრება, რომელიც საზოგადო კითხვების გადაწყვეტას ეხება, ყველა წევრების თანადასწრებით მოხდეს ხოლმე და არა შინაურულად. რადგანაც ზემოხსენებული კრება არ შეიცავდა კანონიერ რიცხვს წევრებისას, იმ წევრს რომელიც არ დასწრებია უიმისოდ მომხდარ კრებას შეუძლიან სრულებით არ დაეთანხმოს რომელიმე გადაწყვეტილებას.

კრებამ დაადგინა: შარშან აკრეფილი საწევრო გადასახადი, წევრებს ამ წლისათვის არ ჩაეთვალოთ და წრეულ კვალად აიკრიფოს. ეს ასეც უნდა მომხდარიყო იმიტომ რომ სხვა წყარო შემოსავლისა სამკითხველოს ამჟამად არა აქვს და ახლო მომავალში კი გამოწერილ ჟურნალ-გაზეთების ფული უნდა გაიგზავნოს. იანვრიდან გამოწერილია აუარებელი სატახტო და ადგილობრივი გაზეთები და ჟურნალები. სამკითხველო ღიაა კვირაში სამი დღე, დღეში ორი საათი საღამოს 5 ს. 7-მდე. ძალაუნებურათ იბადება კითხვა: ის მცირე დრო ე. ი. ორი საათი საკმარისია, რომ მკითხველმა გადაათვალიეროს ყველა მოსული ჟურნალ-გაზეთები? მართალია მკითხველს წესდებით შეუძლიან წაიღოს სახლში ჟურნალ-გაზეთები, მაგრამ აქაც დაბრკოლება იბადება, სახელდობრ ის, რომ ერთს რომელიმე წევრს შეუძლიან წაიღოს არა იმავე დღეს მოსული ჟურნალ-გაზეთები, არამედ სამი დღის წინედ მოსული.

რამდენად ასრულებს ამ ჟამად სამკითხველო თავის დანიშნულებას? მგონია სავსებით ვერა. მე ამით სრულებითაც არა მსურს უსაყვედურო ვისმეს და ან უმოქმედობა დავსწამო—არა! მე მსურს მხოლოდ გამოვსთქვა ჩემი კერძო მოსაზრება შესახებ სამკითხველოს დანიშნულებისა, ვინ სარგებლობს ამ ჟამად სამკითხველოთი?—ბევრი არავინ; ერთი ორი ინტელიგენტი, რომელნიც თვითონაც იწერენ გაზეთებს და საშუალებაც აქვთ გამოიწერონ. ამ შემთხვევაში ყველაც დამეთანხმება, რომ ის ორი სამი ინტელიგენტი არ შეადგენს საზოგადოებას. მიზანი სამკითხველოს დაარსებისა სულ სხვაა. ბიბლიოთეკამ უნდა შეიტანოს განვითარება ფართო მასსაში—გლეხკაცობაში. თითქმის არც ერთმა გლეხმა აქამდის არ იცის: რა პირობებით არის გახსნილი სამკითხველო?

ერთმა ახალგაზდა გლეხმა მითხრა: „არ ვიცოდი რომ ვისაც საწევრო გადასახადი არა აქვს შეტანილი ბიბლიოთეკით სარგებლობა შეეძლოო, თორემ ძალიან მიყვარს წიგნების კითხვაო“.

**ქსნისპირელი.**

## გურიის ვითარება

ოზურგეთის ხელოსანთა საკრედიტო ამხანაგობა.—ნავთის საქმე.—ვაკიჯვარ-ასკანის მადანი.—საზაფხულო კურსები სამრ. სკოლების მასწავლებლებისათვის.—სათეატრო შენობის აგების განზრახვა ოზურგეთში.

3 თებერვალს ოზურგეთის თვითმმართველობის დარბაზში მოხდა **„ოზურგეთის ხელოსანთა საკრედიტო ამხანაგობის“** წევრთა საზოგადო კრება. **გამგეობის მოხსენებიდან** გამოირკვა, რომ ამხანაგობა არსებობს 1911 წლის 1 დეკემბრიდან. დაარსების დროს ჰყავდა 89 წევრი, შემდეგ მიუღიათ 85, სულ დღეს ჰყავს 184 წევრი. ამხანაგობის ძირითად თანხას შეადგენს 3000 მანეთი, მოკლე-ვადიან სესხად 5000 მ., სულ 8000 მ. საანგარიშო წლის ერთ თვეში შესანახად მიბარებული ჰქონია 110 მანეთი. შემოსავალი ყოფილა 191 მ. 50 კ., გასავალი 59 მ. 6 კ. წმინდა სარგებელი 132 მ. 44 კ. აქედან 31 მ. 92 კ. გადაუდვიათ საკუთარ ძირითად თანხის შესადგენად, 15 მ. 96 კ. სათადარიგო თანხისათვის, 57 მ. 60 ინვენტარის ხარჯების დასაფარავად და 26 მ. 96 კ. საკუთარ შენობის ასაგებად.

**საბჭოს მოხსენების** თანახმად კრებამ გამოსთქვა სურვილი ოზურგეთის მაზრის საკრედიტო ამხანაგობათა კავშირის დაარსებისა. ამასთან საჭიროდ სცნო დაიწყონ საკომისიონერო ოპერაცია და ამ მიზნით არჩეულ იქმნა შვიდი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელიც ვალდებულია ეს კითხვა გამოიკვლიოს და შეისწავლოს გამგეობასთან და საბჭოსთან ერთად. წევრთა სიმრავლისა გამო კრებამ დაადგინა აღძრულ იქმნას შუამდგომლობა სახელმწიფო ბანკის სესხის გადიდებაზე გამგეობის თავმჯდომარემ ბ-ნ დ. თალაკვაძემ კრებას მოახსენა, რომ ქუთაისში გამოდის ჟურნალი „კოოპერაცია“, აღნიშნა მიუცილებელი სარგებლობა მისი კოოპერაციის საქმისათვის და ითხოვა ამხანაგობისათვის გამოწერა, რაც კრებამ სასურველად სცნო. ამასთან გადასწყვიტა გამოიწერონ რუსული საკოოპერაციო ჟურნალი „Вестникъ мелкаго кредита“. ბოლოს მოხდა არჩევნები გამგეობის და საბჭოს შემადგენლობის თითო წევრისა და არჩეული იქმნენ: გამგეობის წევრად დ. თალაკვაძე, საბჭოს - ივ. თალაკვაძე.

**გურიის ნავთის** გარშემო დაწყებული მოძრაობა გარეგნულად მიყუჩდა. ზაფხულზე თუ მუზივით ირეოდნენ გურიის დასავლეთ კუთხეში სხვა და სხვა კომპანიის თუ ფირმის წარმომადგენელნი ეხლა ზოგი მათგანი სრულებით აღარ სჩანს და მათ შესახებ ნაწყვეტ-ნაწყვეტად თუ მოდის ცნობები ფართე ორგანიზაციული კავშირი ამ კომპანიათა შორის არც ერთს არ ჰქონია, მხოლოდ დარჩა ერთად-ერთი „გურიის ამხანაგობა“, რომელმაც თავის მოქმედებას იმ თავითვე განსაკუთრებული ელფერი მისცა, მაგრამ ამ კომპანიის საბჭოს დადგენილებანიც ნაკლებად მოგვდის. სად არის შმიდელ-ზიბირტის კომპანია? რად არ სჩანს ბ-ნი იასე მეხუზლა, რომელმაც მიწები აიღო იჯარით და აპრილის რიცხვებში პირობის ძალით ვალდებულია იჯარის ფულიც დაარიგოს? ამათგან მხოლოდ ბ-ნი რილსკი განაგრძობს მუშაობას მიქელ-გაბრიელის საზოგადოების ს. სამხთოში. რამდენად ნაყოფიერია ეს მუშაობა ჯერ ვერ ვიტყვით, რადგან ყველაფერი მაშინ გამოაშკარავდება, როდესაც დიდრონ ბურღებს ჩაუშვებენ მიწაში და ერთხელ და სამუდამოდ გაიგებენ—არსებობს გურიაში ნავთი და თუ არსებობს—ღირს იმის გულისათვის მუშაობის დაწყება თუ არა. ამ მხრით კი ჯერ ნაბიჯი არ გადადგმულა. დღეს მხოლოდ ის ვიცით, რომ ცნობილი **პროფესორი ციუბერი** ზოგიერთა დაინტერესებულ პირთა საყურადღებოდ ამბობს, რომ მას არავისათვის არ გაუზიარებია გურიის ნავთის საიდუმლოება და ნავთიან ადგილების მოვლის შემდეგ თვითონ იღებს ის იჯარით აზნ. თავართქილაძეების და თავად გურიელების მიწებს. სჩანს, მას საეჭვოდ არ მიაჩნია გურიაში ნავთის არსებობა, მაგრამ გურული ხალხი მაინც იმავ გამოურკვევლობაში იმყოფება, რადგან არ იცის—ვინ აღმოჩნდება ისეთი მადლიანი რომელიც ამდენ მითქმა-მოთქმის შემდეგ ნამდვილ საქმიანობას დაიწყებს.

როგორც გავიგეთ, საზღვარ-გარედ უკვე გამგზავრებულან ციუბერის რწმუნებული ინჟინერები წულუკიძე და ჩხეიძე საქმეთა გარემოების გასაგებად. თუ არ ვცდები, გურიის ამხანაგობასაც განუზრახავს მუშაობის გაფართოება და 170 ათასი მანეთის პაის შეძენის შემდეგ აპირებს რთული მუშაობის დაწყებას. ღმერთმა ჰქმნას! მხოლოდ ჯერ კი ვერ გამოვრკვეულვართ—ვინ უბრალო მოიჯარადრეა, ვინ ჩარჩი-მევახშე და ან დიდი ფირმის წარმომადგენელი. ჩვენ მათ გულში ვერ ჩავძვრებით და თვითონ ისინი კი არააშკარავებენ თავიანთ მოქმედების გეგმას.

* *

დიდი ხანია რაც ლაპარაკობენ **ვაკიჯვარის მადანზე.** ვითომ სინდიკატიც კი დაარსეს ამ მიზნით, მაგრამ, როგორც ნავთის, ისე მადანის საქმეც ერთგვარ ბურუსშია გახვეული. მაგალითად, ხედავთ მშვენიერ, ბრჭყვიალა ნივთს, რომელიც თეთრად ანათებს, და უთუოდ იტყვით ეს რაღაც ძვირფასი რამ იქნებაო. მაგრამ, როდესაც გაიგებთ, რომ ამ ნივთის დანიშნულება—გარჩევისა და სამყოფ რაიონის გამოკვლევისათვის ჯერ დიდად არ ცდილან, მაშინ უეჭველად სასოწარკვეთილებასა და უიმედობაში ვარდებით. ასეთ მადანის ნიშნები სახაზინო მიწებშია! გურიის დაფარულ სიმდიდრის აღმოჩენის საქმით დაინტერესებულმა პირებმა გააკეთეს [illegible] და ეს, რომოდენიმე [illegible] ყოველივე ხარჯებს [illegible] ისინი კისრულობდნენ. მხოლოდ უკანასკნელ დროს განთავისუფლდნენ ამ ხარჯებისაგან, რადგანაც ახლად შემუშავებულ პირობის ძალით ასეთი ხარჯები ამის შემდეგ თვით მადანის მწარმოებელმა ბ-ნ აირაპეტოვმა უნდა იკისროს. ბ-ნი აირაპეტოვი არა ჩქარობს, ახდენს წინასწარ გამოკვლევას და ჯერ-ჯერობით შედეგებიც კარგია. ერთს ადგილას, მაგ., წააწყდნენ ხელოვნურად გაყვანილ გვირაბს, რომელშიაც იპოვეს ძველი დროის სანაყი ქვა; ამ ქვას ორივე თავი გაპრტყელებული აქვს მხოლოდ შუა ნაწილი ვიწრო, ჩაწვრილებული. აქედან დაასკვნიან, რომ მადნეულობის არსებობა სცოდნიათ უკვე ქლ[?]ნბრიობის არსებობის ქვის ხანაშიაც „каменный періодъ“ და ამ მიზნით იკვლევდნენ გზას დედამიწის გულშიო. ამას გარდა ტონელში იპოვეს ისეთი ხეების ნაშთები, რომლებსაც ეხლა ვერ ცნობილობენ. თვით მადანის შემადგენელ ნივთიერებათა პროცენტობითი რაოდენობა ასეთია: ტყვია—48%, სპილენძი 11%, ვერცხლი—7% დანარჩენი 34% ჯერ კიდევ გამოურკვეველია. თვითონ ჯერკმა (პლასტი) შეგხვდებათ 6-8 გოჯის სისქისა.

* *

**გურია-სამეგრელოს საეპარქიო საბჭოს** გადაუწყვეტია გამართოს **საზაფხულო კურსები** ეპარქიის სამრევლო სკოლების მასწავლებლებისათვის კურსები სასურველად უცვნიათ მოაწყონ ქ. ოზურგეთში, რის შესახებ ოფიციალური ცნობა უკვე მიიღო მაზრის სკოლების მეთვალყურე მღ. დ. ჩხაიძემ.

როგორც გავიგეთ, ბ-ნ საბახტარიშვილის წერილობით უცნობებია ოზურგეთის თვითმართველობის ხმოსნებისათვის, რომ ის. კისრულობს აგოს ოზურგეთში სათეატრო შენობა იმ პირობით, რომ შემდეგ, დაახლოვებით 13 წლის განმავლობაში, ქალაქმა გამოისყიდოს ის შენობა დაჯდება 12 ათას მანეთად. ბ-ნ საბახთარიშვილს შენობის გეგმაც წარმოუდგენია. თუ ეს ხმები გამართლდა და ბ-ნ საბახთარიშვილის კეთილი განზრახვით ერთ მშვენიერ დღეს ოზურგეთლებს თეატრის შენობა მოევლინა, მაშინ ძნელი აღარ იქნება ადგილობრივი დრამატიული საზოგადოების წესდების დამტკიცებაც, რადგანაც შენობის აგებით მკვიდრი საფუძველი ეყრება თეატრის და მით დრამატიულ საზოგადოების არსებობასაც. საჭიროა ხმოსნები მეტის ყურადღებით მოეპყრან ბ-ნ საბახთარიშვილის წინადადებას, რადგან პირობები ერთობ ხელსაყრელი და ფრიად მოსაწონია.

**მიი.**

## ბიბლიოგრაფია

**დეკ. კორ. ს. კეკელიძე —„Iерусалимскій Канонарь VII вѣка“ (Грузинская версія).**

ქართველ მეცნიერებს ერთი სენი სჭირთ: იმათ ყოველ დარგში ბატონი ჰგონიათ თავისი თავი, და სწორედ ეს არის უმთავრესი მიზეზი მათი ნაშრომების დეფექტებისა. ამ მხრივ დეკ. **კ. კეკელიძე** იშვიათ გამონაკლისს შეადგენს: მას აუღია ერთად-ერთი დარგი ჩვენი ძველი მწერლობისა, ლიტურღიკა და აგიოლოგია, და თავისი გამოკვლევებით და აღმოჩენებით ნამდვილს სენსაციას ახდენს მეცნიერებაში. ამითი აიხსნება, რომ მისი აგიოლოგიური შრომანი მეცნიერ **ბოლლანდისტებს** უკვე უთარგმნიათ ევროპიულ ენებზე, რაც შეეხება რუსეთს, იქ 1908 წლიდან, როდესაც დაიბეჭდა სამაგისტრო დისსერტაცია ავტორისა, არ გამოსულა არც ერთი ლიტურღიული შრომა, რომელსაც ქვა-კუთხედად არ ედვას ჩვენი თანამემამულის დისსერტაცია. ამ დღეებში მან დაბეჭდა ახალი შრომა, რომლის სათაური ზემოდ ამოვწერეთ; ეს შრომა შეეხება იერუსალიმისა და საქართველოს ლიტურღიულ პრაქტიკას და შეიცავს ერთ უძველეს ძეგლს, რომელიც მას აღმოუჩენია ამ ზაფხულს სვანეთის ხელნაწერებში. დედანი, რომლიდანაც ნათარგმნია მერვე საუკუნეში ეს ძეგლი, ეკუთვნის იერუ-

სალიმის პატრიარქს **სოფრონის** (633—644 წ.) და მეცნიერებაში დაკარგულად ითვლებოდა. მაშ ადვილი წარმოსადგენია ის ფურორი, რომელსაც გამოიწვევს ჩვენი ავტორის შრომა სპეციალისტთა წრეში, საიდაც ტაშისცემით ეგებებიან ყოველივე ახალ ცნობას ძველი იერუსალიმის ტოპოგრაფიის, არქეოლოგიის და რიტუალის შესახებ. განსაკუთრებით საყურადღებოა ეს შრომა ჩვენთვის, რადგანაც იგი შუქსა ჰფენს ჩვენი ეკლესიის ისტორიას მეათე საუკუნემდის; მასში ჩვენ ვპოულობთ ამდენხანს უცნობ კათალიკოსებს, წმინდანებს და დღესასწაულებს. ავტორი მშვენივრად ასაბუთებს ჩვენი ეკლესიის გენეტიურ კავშირს ძველ იერუსალიმთან, გზა დ გზა გამოსთქვამს რამოდენიმე მეტად საყურადღებო მოსაზრებას ჩვენი „დაბადების" (311—312 გვ.) და უძველეს ქრონიკის—„ქართლის მოქცევის"—შესახებ, უჩვენებს ორს, აქამდის უცნობ, ბერძნულ წყაროს ამ ქრონიკისას (239—245 გვ.) და უტყუარ საბუთს იძლევა იმისას, რომ მეექვსე საუკუნის დამდეგს ქართველებს უკვე ჰქონდათ თავისი ლიტურღიული მწერლობა (გვ. 33—35,321—322), რომელიც პირველად ნათარგმნი იყო და არა ორიგინალური. ამ მხრივ საინტერესოა ლიტურღიული ლექსიკონი, რომელიც ავტორს დაურთავს თავის შრომისთვის და რომლისთვისაც მას მადლობას ეტყვიან უბრალო ცნობის-მოყვარეებთან სპეციალისტებიც.

ასეთია ახალი ლიტურღიული შრომა ჩვენი ავტორისა, რომლის დეტალურ დახასიათებას, იმედია, სპეციალისტები იკისრებენ; ჩვენ კი, ჩვენის მხრივ, უსურვოთ ჯერ კიდევ ახალგაზდა ავტორს სრული წარმატება მეცნიერულ ასპარეზზე, რომელზედაც ის ბეჯითად მოღვაწეობს.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოებაც; ჩვენში, მგონია, დაწერა ისე ძნელი არ არის, როგორც დაწერილის გამოცემა, მიზეზი ამისა არის ჩვენი ხელ-მოკლეობა. ამიტომ დიდი მადლობის ღირსნი არიან ის პირნი, რომელნიც სახსარს აძლევენ ავტორებს ნაშრომის გამოსაქვეყნებლად. განსაკუთრებითი მადლობის ღირსია იოანე ნათლისმცემლის უდაბნოის ახლად დანიშნული წინამძღვარი, არქიმანდრიტი **ნაზარიოს ლეჟავა**, რომელსაც არ დაუშურნია ბერული წვლილი და თავის ხარჯით გამოუცია ზემო-აღნიშნული შრომა დეკ. კ. კეკელიძისა.

წიგნი, რომელიც მშვენიერადა გამოცემული, ღირს ორ მანეთად და იყიდება **ტბილისში** ავტორთან და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. №№

## ჩინეთის რესპუბლიკა

### დეპეშები.

**მუკდენი.** ხუნხუზთა ბრბო, რომელიც რევოლუციონერებს კაიუნანის აღების შემდეგ ჩამოჰშორდა, მთავრობის ჯარმა დაამარცხა. 7 ხუნხუზი მოჰკლეს, ოცი ტყვედ წამოიყვანეს.

**პეკინი.** ნანკინში გაემგზავრა სამხრეთის სამი დელეგატი და იუანშიკაის ორი რწმუნებული, რომ ნანკინის სათათბირო კრებას პირადად განუმარტონ ჩრდილოეთში მომხდარი ამბები, რის გამოც პრეზიდენტს არ ძალუძს ნანკინში გამგზავრება. მიუხედავად საყოველთაო მშვიდობიანობისა, ვაჭრობა სრულიად შესწყდა.

**გირინი.** პანშისიანიდან ჯარსა და პოლიციის შორის მომხდარ ცხარე ბრძოლის შესახებ იტყობინებიან: პოლიციელებმა აიკლეს რამოდენიმე მაღაზია, შემდეგ მიატოვეს ქალაქი და ხუნხუზთა რაზმი შეადგინეს „დასიანის" (უდიდესი წარმატება) სახელწოდებით.

### გაზეთებიდან.

**დედოფლის ბრძანება.**

როგორც „რუსკოე სლოვოს" შეუტყვია, დედოფალს შემდეგი ბრძანება გამოუცია: „ჩინეთში რესპუბლიკა შემოიღეს და ჩვენ მაინც სასახლეში ვცხოვრობთ. ხალხში ხმა დავარდნილა, ვითომც ჩვენ კიდევ რაღაც იმედი გვქონოდეს და მოწადინებულნი ვიყოთ, თუ რესპუბლიკა არ დაამტკიცეს, ტახტი უკან დავიბრუნოთ. დარწმუნებული ვარ, არეულობა მოხდება რამე და ყველაფერს ჩვენს ოჯახს დააბრალებენ, ამიტომ სასახლის მმართველობას ვუბრძანებთ დაგვეხმაროს და რაც შეიძლება ჩქარა მოგვიხერხოს პეკინიდან წასვლა, რადგანაც მოსალოდნელ ამბების პასუხისგებას ვერ ვიკისრებთო".

**ცენტრალისტური რესპუბლიკა.**

საეროვნო კრებამ ბევრი იმსჯელა ჩინეთის სახელმწიფო მართვა-გამგეობის ფორმაზე. ბოლოს გადასწყვიტა, ჩინეთისთვის მოუხერხებელია ფედერატიული რესპუბლიკაო. კრებამ დაადგინა საფრანგეთის ცენტრალისტურ რესპუბლიკის მსგავსი წესწყობილება შემოიღოს.

**ეროვნული გათვითცნობიერება.**

„დეილი ტელეგრაფის" კორესპონდენტი პეკინიდან იუწყება, რესპუბლიკის შემოღებამ ერთი-ორად აქცია ჩინელების ეროვნული გრძნობაო.

ნანკინის მთავრობამ ამას წინად ჰააგას პროტესტი გაჰგზავნა იავას კუნძულზე ჩინელების ჩაგვრის წინააღმდეგ, ეხლა ნანკინის მთავრობა პორტუგალიას ედავება მაკაოს საკითხის გამო.

**იაპონია და ინგლისი.**

იაპონური პრესა დიდის გულმოდგინებით ეკიდება ინგლის-იაპონიის მეგობარს და აღნიშნავს, ამ მეგობრობის სრული უნიადაგობა ჩინეთში მომხდარმა ამბავმა დაამტკიცაო. გაზეთების სიტყვით, პეკინში მყოფი ინგლისის ელჩი ამერიკისა და გერმანიის თანხმობით მოქმედებს იაპონიის საზარალოდ, თუმცა რევოლუციის დაწყებისას, ინგლისი და იაპონია რევოლუციონერებს ერთმანეთის თანხმობით მოელაპარაკენო.

## არეულობა სპარსეთში

### დეპეშები.

**ურმია.** სულდუზიდან იუწყებიან, ოსმალნი კარაფაფახის ხანებს აწუხებენ, რადგან ექვობენ რუსებთანა აქვთ კუდი გადაბმული.

**თავრიზი.** გენერალ-გუბერნატორმა გამოაცხადა გარეშე საქმეთა მინისტრის დეპეშა ძველი შაჰის სპარსეთიდან წავლის თაობაზე. მოჰამედ-ალის ზოგიერთმა მომხრემ, პროტესტის ნიშნად, თეთრი დროშები გამოჰკიდეს ამნაირის წარწერით: „გაუმარჯოს მოჰამედ-ალი-შაჰს." გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით დროშები პოლიციელებმა ჩამოხსნეს.

## ოსმალეთ-იტალიის ომი

### დეპეშები

**იტალიელთა ზარალი.**

**რომი.** უკანასკნელ ბრძოლაში დერნართან იტალიელებს მოუკლეს 8 აფიცერი და 52 ჯარის კაცი, დაუჭრეს 13 ოფიცერი და 164 ჯარის-კაცი.

**სტამბოლი.** ოტომანიის საააგენტო უარსა ჰყოფს იმ ხმებს, ვითომც ოსმალეთის მინისტრთა საბჭოს განეხილოს უცხო სახელმწიფოთა სამშვიდობო წინადადება და შესაძლოდ ეცნოს მშვიდობის ჩამოგდება იმ შემთხვევაში, თუ ოსმალეთის სუვერენიტეტი აფრიკის ერთ პროვინციაში იქნება დაცული, ხოლო ხალიფის სასულიერო მართველობა ორივე პროვინციაში. პირიქით ოსმალეთის მთავრობა მტკიცედ ადგია იმ გზას, რომ დაიცვას თავისუფლებანიო.

**რომი.** ტრიპოლისში დირიჟაბლთა ფრენა დაიწყო, რომელნიც ყუმბარების სასროლად არიან მოწყობილნიო.

### გაზეთებიდან.

**ბეირუტის ამბავი.**

ვენის გაზეთი „ნეი-ფრაიე-პრესე" ამბობს, ბეირუტისთვის ზარბაზნის დაშენის ამბავმა დიდი აურ-ზაური გამოიწვია ყველგანა. საფრანგეთში ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და იგი ინგლისისავით თავის ინტერესების დასაცავად სამხედრო გემებსა ჰგზავნის.

„ლიბერტე" ამბობს: ბეირუტში ძლივს მოახერხეს გახელებულ მაჰმადიანთა შეკავება, მაგრამ ძნელია ამ საქმის მოგვარება სხვაგან. ბეირუტის ამბავმა მთელი ქვეყნის მაჰდიანობა ააღელვა და საჭიროა საფრანგეთის ფლოტი სალონიკსა და სმირნას ახლო მაინც იმყოფებოდესო. შეიძლება მაჰმადიანებმა ევროპიელთა საწინააღმდეგო მოქმედება დაიწყონო.

ინგლისის იმპერიაში ყველა სახელმწიფოზე მეტი მაჰმადიანობა სცოვრობს და ამიტომ იგი უფრო მეტის ყურადღებით ეპყრობა მაჰმადიანთა მიმართ ყოველგვარ მოქმედებას. საზოგადოდ, თუ საქმე არ გართულდა, „ტაიმსის" აზრით, ჯერ-ჯერობით საშიში არა არის რა.

**პორტას ჯიუტობა.**

საპოლიტიკო წრეებში ზავის ჩამოგდების საკითხს და სახელმწიფოთა შუამავლობას დიდის ეჭვით ეპყრობიან.

პორტა გაჯიუტდა და ტრიპოლის ანექსია მომხდარ ფაქტად არ მიაჩნია, რადგანაც ეს ამბავი ახალგაზდა ოსმალთა რეჟიმის დაღუპვა იქნებოდაო.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

### საზღვარ-გარედ.

23 თებერვალი.

**ხორვატელ მოსწავლეთა გაფიცვა.**

**რეკა.** სუსაკში გაიფიცნენ გიმნაზიის მოწაფენი, რადგან მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციის დროს ერთი ამხანაგი დააპატიმრებიათ. 7 მოწაფე დააპატიმრეს.

**არჩევნების პროპორციონალური სისტემა.**

**სოფია.** კრებამ მიიღო კანონ-პროექტი საარჩევნო პროპორციონალურ სისტემის შესახებ.

**მოთხოვნილების წარდგენა.**

**პრაგა.** ავსტრიის მაღაროს მუშათა სოციალისტურმა კავშირმა მაღაროების პატრონთ მოთხოვნილებანი წარუდგინეს, რათა ხელფასის 25% მოუმატონ. კავშირი შეჰპირდა პირველ მარტამდე გიპასუხებთო.

**სუფრაჟისტების არეულობა.**

**ლონდონი.** 20 თებერვალს სუფრაჟისტკებმა პარლამენტის წინ არეულობა მოახდინეს. დააპატიმრეს 200 კაცი.

ხალხს მოსწყინდა სუფრაჟისტკების მოქმედება და მტრულად ექცევა. ახალგაზდებმა ხალხის წაქეზებით სუფრაჟესტკების კლუბის ფანჯრები ჩალეწეს.

ბრიტანიის მუზეუმი დროებით დაჰკეტეს, რადგან ეფიქრებათ, ვაი თუ რამე გააფუჭონ სუფრაჟისტკებმაო ორ სუფრაჟისტკას ორი თვის იძულებითი მუშაობა გადაუწყვიტეს.

**ხორვატიის საკითხი.**

**ვენა.** დეპუტატმა ბიანკინიმ დეპუტატთა პალატაში შეიტანა სწრაფად განსახილველი წინადადება ხორვატიაში აბსოლიუტურ რეჟიმის გაუქმებისა და კონსტიტუციის განახლების თაობაზე.

**ზადარი.** სეიმის დეპუტატებმა, რომელნიც ეკუთვნიან ხორვატელთა, ხალხისა, პროგრესისტებისა და სერბიელთა პარტიებს, შეადგინეს კოალიცია. სლავიანთა გაზეთები გახარებულნი არიან და ამბობენ, ეს ამბავი სლავიანთა შორის ძმობის განმტკიცებასა ჰმოწმობსო.

**ჩეხელთა სკოლები.**

**ვენა.** ქვემო-ავსტრიის სეიმმა, დიდის უმრავლესობით სოციალ-დემოკრატთა წინააღმდეგ მიიღო ჩეხთა სკოლების შესახებ კანონ-პროექტი. იგი მოითხოვს ქვემო-ავსტრიის სკოლებში ყველა საგნები გერმანულად ისწავლებოდეს. მეფის მოადგილემ, მინისტრ-პრეზიდენტად ნამყოფმა ბინერტმა განაცხადა კანონპროექტი სკოლათა საიმპერიო კანონს ეწინააღმდეგებაო.

**ინგლისის იარაღი.**

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატაში პარლამენტის მდივნის თანაშემწემ ბონაროლოს უპასუხა, ინგლისის შეიარაღება დაიწუნა. თანაშემწემ განაცხადა, ინგლისი ყველა სახელმწიფოზე კარგად არის შეიარაღებულიო. სამხედრო უწყებამ უკვე შეიძინა 61 საფრენი მანქანა და 60 კიდევ ამზადებინებსო.

### რუსეთი

**გიმნაზიის მასწავლებლობის მსურველთა გამოცდის ახალი წესები.**

**პეტერბურგი.** სახალხო განათლების სამინისტრომ მინისტრთა საბჭოს განსახილველად წარუდგინა პროექტი გიმნაზიის მასწავლებლობის წოდების მისაღებად გამოცდის ახალი წესებისა. განზრახულია, რომ ასეთი გამოცდა უნივერსიტეტებთან არსებულ ყოველწლიურ კომისებში სწარმოებდეს.

**შეღავათი.**

შორეულ აღმოსავლეთისკენ მიმავალ მუშებისათვის შემოღებული შეღავათიანი ტარიფის მოქმედება ძალაში იქნება 1915 წლის 1 იანვრამდე.

## უცხოეთი

**ირლანდიის ჰომრული.**

ამას წინად ლონდონში ირლანდიის ჰომრულის (დამოუკიდებლობის მინიჭება) მომხრეთა პარტიის ბელადს რედმონდს ნადიმი გაუმართეს, ამ სადილზე ჩერჩილმა სთქვა. ჰომრულს ჩქარა განვახორციელებთო.

ჩერჩილს საპასუხო სიტყვა უთხრა რედმონდმა. იგი უნიონისტეს დასცინოდა. 20 წლის წინად ამტკიცებდნენ, ირლანდიისთვის ჰომრული საჭირო არ არის, იქ მხოლოდ მათხოვრები და მაწანწალანი სცხოვრობენო. უნიონისტები ეხლაც წინააღმდეგნი არიან, მაგრამ სხვა მოსაზრების გამო: ირლანდიელები კარგად სცხოვრობენ, მდიდრად და შეძლებულად, ჰომრული საჭირო არ არისო. ირლანდიელები დამშვიდებულნი არიან, რადგანაც დიდი იმედი აქვთ ახლო დროებში ჰომრულის შემოღებისა.

**უნგრეთის საქმეები. ხორვატიის საკითხი.**

მინისტრ-პრეზიდენტ გრაფ კუენ-ქედერვარისა და უნგრეთის პალატის შორის მოლაპარაკების საქმე კარგად მიდის. მინისტრ-პრეზიდენტი ურჩევს ოპოზიციას, ობსტრუქციას თავი დაანებეთო. ოპოზიციაში დათმობის გზას დაადგა კოშუტის პარტია. იუსტის პარტიაში უთანხმოება მოუვიდათ; თვითონ იუსტი წინააღმდეგია მთავრობასთან ყოველგვარ შეთანხმებისა, პარტიის წევრნი კი ობსტრუქციაზე ხელის აღებას რჩეულობენ, თუ მთავრობა პირობას მისცემს, რომ საარჩევნო რეფორმას წელსვე მოახდენს. ამბობენ კუენ-ქედერვარი მზადაა ყველაფერი აღუთქვას, ოღონდ ობსტრუქცია მოისპოსო. მაგრამ საარჩევნო რეფორმის თაობაზე მსჯელობა რომ დაიწყება, უეჭველია კოშუტისა და იუსტის პარტიას უთანხმოება მოუვათ. კოშუტის პარტიას სრულებით არა ჰსურთ საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღება, რადგანაც უნგრეთის ერებმა გამოიღვიძეს და დიდის თავგამოდებით მოითხოვენ სწორუფლებიანობა. ხორვატიის საკითხმა, დავთარი აუბნია არა მარტო კუენ ქედერვარს მთავრობას, არამედ ოპოზიციასაც. როდესაც გრაფი კუნქედერვარი ოპოზიციას ეხვეწებოდა, თავი დაანებეთ ობსტრუქციასაო, დასძინა, უნგრეთის საქმე ძალიან ცუდადაა, ხორვატიაში ძლიერი მოძრაობაა, „ჰანიბალი კარს მოგვდგომიაო" და სხვა. ამისთანა მოწოდებამ, სჩანს, გავლენა იქონია ოპოზიციაზე და მთავრობასთან მორიგა.

ამნაირად, უნგრეთის პალატაში ობსტრუქცია მოისპობა. პალატა ჯერ სხვა და სხვა საკითხს გაარჩევს, საარჩევნო რეფორმა და ხორვატიის საკითხი კი ჯერ დიდ ხანს დარჩება განუხილავი.

## თეატრი და ხელოვნება

**ნაძალადევი.** 18 თებერვალს, ნაძალადევის თეატრში **ს. პ. სვიმონიძის** საბენეფისოდ წარმოდგენილ იქმნა **„ყაჩაღები"** შილლერისა, ქ-ნ ე. ჩიქოვანისა, ბ-ნთ ვ. მესხიშვილისა, კ. ყიფიანისა და ნ. გოცირიძის მონაწილეობით. ეს მეტად ძნელი და რთული პიესა ნაძალადევის სცენისათვის მშვენივრად იქმნა ნათამაშები, ზემო-დასახელებულ პირველ-ხარისხოვან მსახიობთა უნარით. არაფერს ვიტყვით თვით მობენეფისეზე (კარლოსი), ვ. მესხიშვილზე (ფრანცი), ყიფიანზე (მაქსიმილიანე ფონ მოორი), ჩიქოვანისაზე (ამალია) და გოცირიძეზე (პატერი), რომელთაც თვისის დაკვირვებულის თამაშით და ჩინებულად როლის ცოდნით—დამსწრე საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანეს. ჩვენის სცენისმოყვარენიც ღირსეულად ხელს უწყობდნენ საერთო ანსამბლს; მეტადრე აღსანიშნავი არიან გ. სვანიძე (დანიელ), ვ. სადულიშვილი (შპიგელბერგი), ა. გოგაშვილი (შვეიცაერი) და სხვანი.

მობენეფისეს მიართვეს საჩუქრები, წაუკითხეს ადრესები ნაძალადევის ქართულ და რუსულ სცენის მოყვარეთა და „ნაძალადევის" წრის გამგეობის სახელითა. საზოგადოება საკმაოდ დაესწრო და უფრო მეტი იქნებოდა, რომ ფასები არ ყოფილიყო აწეული (ნაცვლად ჩვეულებრივ—7—27 კაპ. იყო—15 60 კ.

ერთი შენიშვნა „წრის" გამგეობას: აუცილებლად საჭიროა თეატრის გათბობა, ვინაიდან თუმცა ზემო ტანისამოსს არახდევინებენ, მაგრამ მაინც საგრძნობლად ცივა დარბაზში. **ერმალოზ-კახი.**

**ჭიათურა.** კვირას, 19 თებერვალს ჩვენმა დასმა ითამაშა ჭანტურიშვილის 3 მოქმედებიანი დრამა **„მორევში"**. წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა. მშვენიერი იყო **შალიკაშვილი** კოტეს როლში. კოტე, მაროს რომელიც ჩაუგდია თავის კლანჭებში. კოტესა ჰსურს ერთხელ კიდევ გაეხვიოს ტრფობის ბადეში-დასტკბეს მაროს ცქერით, თავს ჩასდებს მაროს კალთაში იმედებით სავსე, ოდნავ ბჟუტავ, მიმქრალ თვალებით. კარგი იყო იმ ალაგსაც, როდესაც მაროს სთხოვს, დაშორდეს ტრიფონს, ჩასწყდეს მათ შორის გაბმული ტრფობის სიმი.

კარგი იყო აგრეთვე ბ-ნი **ნ. გვარაძე**. ეს მსახიობი პირველად გამოვიდა ჭიათურის სცენაზე და პირველათვე შესამჩნევი კვალი დაამჩნია. გვარიანი იყო აგრეთვე ქ-ნი ლოლუა.

არა უშავდარა ს. ლეჟავასა და ჯავახიშვილს. დანარჩენები ანსაბლს ხელს უწყობდენ. **შაი-შვილი.**

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**

## გამოსადეგი ცნობა

### მატარებელთა მიმოსვლა

**ზამთრობით** (15 ოქტომბრიდან 1911 წ.) (დრო ტფილის, საათები ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

**ტფილისიდან გადის:**

**ბათუმისაკენ**: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., სად. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. სად. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 3 წ.

**ბაქოსაკენ**: 1) ჩქარი მატ. № 2, I—II კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარაში ღამ. 1 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ, № 6, I—II კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—II კლ. ღამ. 1 ს. 8 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, II—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს. 8 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

**ბორჯომისაკენ**: 1) სამგზ. მატარებ. № 9/6ბ, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ**: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. სად. 11 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის სად. 1 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბათუმიდან**: 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, I—III კლ, დილ. 5 ს, 33 წ.

**ბაქოდან**: 1) სამგზ. № 5, I—III კლას. სად. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № , I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 07, II—III კლ. ღამის 9 ს.

**ერევან-ჯულფიდან**: საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 1 ს. 40 წ.

**ბორჯომიდან**: სამგზ. № 61/ 0, I—II კლ. დილ. 8 ს.

**შენიშვნები:** 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

### გემების მიმოსვლა შავ ზღვაზე.

(ზამთარში).

**რუსეთის საზოგადოებისა.**

**ბათუმიდან გადის:** ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკით-ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

**სახალხო გემები** ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

**სახალხო-საქონლის** გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარასკეობით შუაღამეს.

### უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანოვი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ. [illegible] ტელ. 846).

8—9 **ნ. ლ. ხატისოვი** (კუკიაში, [illegible] ქ. 7, ტელ. 714).

10, 11—12 **ა. ი. [illegible]** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

### ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს,ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

### სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

0, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველან შეუძლიათ გარდასცეს ქალაქის საპოლიციო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩ. 5 და მალაკანის მოედანზე.

## განცხადებანი

თმის სალებავი

კაკლის ექსტრაქტისა

თმას სწრაფად და საფუძვლიანად ჰღებავს, სურვილისამებრ ნაზ-ქერა ფრად, თუ კუმტშავად თავდებნი ვართ, რომ უვნებელია.

პარფ. № 4711. თევდ. მიულგანსი

მის იმპ. უდ. სრულ. რუს. იმპ. სასახლის იჯარადარი კოლნი და რ ● რ ი გ ა.

დაარს. 1792 წ.



ფასი ფლაკონისა 1 მან. 20 კაპ. დიდი ფლაკ. 2 მან. M. 2883 0. (8—1060—5)

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

„606" —11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

**ბ. ა. ნავასარდიანი**; 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგასაროვი**: 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი**: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი**: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი**: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი**: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი**: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

**კბილის** საექიმო კაბინეტი **ი. ა. ფრანკისა** 9—2 ს. წამლობა, პლომბის გაკეთება და ხელოვნური კბილების ჩასხმა.

საღამოთი:

**მ. გ. ავეტისიანცი**: 6—7 საათ.

**ი. ა. ფრანკი**: 5—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ. 1074.22)

დაზღვევა მეორე მომგებიან ბილეთებისა 5 მ. 60 კ.

5% მოგებით, ტირაჟში გამოსვლიდან 1912 წ. 1 მარტს.

მოითხოვეთ პროსპექტები მომგებიან ბილეთების სყიდვისა ღირებულების ნაწილ-ნაწილად გადახდით

საბანკო სახლის კავკასიის სააგენტოში ლ. ვ. ლანდაუ და ამხ.

ტფილისი, მიხეილის ქუჩა, № 65. ტელეფ. № 11—17. (3.1 22.2)

ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12, სტამბა „შრომა".